„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

უოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია ვარ ყოველ დღე 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 21. კვირა, 5 ივნისი 1905 წლისა. № 21.

„მოგზაურის“ ხელის მომწერთა საყურადღებოთ: ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, მომავალი ნომრიდან გაზეთის გზავნა შეუწყდება.

შინაარსი: საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, ფ. მახარაძისა.—მთავრობის განკარგულება.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—ძველი ხელნაწერი პამპულების შესახებ, ანტიპამპულასი.—საფრანგეთის ისტორიიდან, ანისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, კლარა ცეტკინასი (გაგრძელება).—წერილები რედაქციის მიმართ.

საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება.

დღევანდელი ხანა, სხვათა შორის, იმ მხრივაც არის საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი, რომ ის, რაც წინეთ მხოლოთ ნასახათ იყო ჩვენში, დღეს ხორცს ისხამს და გარკვევით ყალიბდება, გარკვეულ ფორმას ღებულობს. ცოტა ხანი კიდევ და ჩვენში აშკარათ გამოვლენ სამოქმედოთ სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ეს მუშაობა, პარტიების შექმნის პროცესი. პოლიტიკურ პარტიების შექმნა დამყარებულია არსებულ საზოგადოებრივ განხეთქილებაზე, კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ანუ კლასთა ბრძოლაზე. კლასობრივი წინააღმდეგობა უფრო აშკარაა იქ, სადაც პოლიტიკურ პარტიების ხრდა დამთავრებულია; ჩვენში კი, სადაც ეს ჯერ აო მომხდარა, სადაც უკმაყოფილების ნაპერწკალი არსებულის წესწობილების წინააღმდეგ თითქმის ყველა საზოგადოებრივ ჯგუფებში იჩენს თავს, კლასობრივი ბრძოლა დაჩრდილულია. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბურჟუაზიული პარტიები და იმათი იდეოლოგები ასეთ დროს დემოკრატიული ხასიათის მოთხოვნებს აყენებენ პირველს ადგილზე და კლასობრივ წინააღმდეგობას ან სულ გვერდს უვლიან ან იმდენათ ცნობილობენ, რამდენათაც ეს იმათთვის სასარგებლოა. იყო დრო, როცა მხოლოთ პროლეტარიატის მოწინავე რაზმი აცხადებდა უკმაყოფილებას და იბრძოდა თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, უკეთესი წესწყობილების დასამყარებლათ, თავისუფლების მოსაპოებლათ, როცა დანარჩენი საზოგადოებრივი ჯგუფები, კლასები, ან სრულებით გულგრილათ ან მტრული თვალით შეჰყურებდენ მუშათა მოძრაობას. იმ დროსაც ადვილი გამოსაცნობი იყო, თუ ვინ იყო მუშა ხალხის ნამდვილი მტერი ან მოყვარე. დღეს კი თავისუფლების დროშის ქვეშ თავს იყრიან სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, მეტი თუ ნაკლები დემოკრატიული პროგრამით შეერთებული. აქ ადვილი გასარჩევი როდია, თუ დემოკრატიულ ქერქში ნამდვილათ რა არის გახვეული. კიდევ უფრო ძნელდება საქმე, როცა ასე ნაძალადევათ შეხანხლილ „დემოკრატიზმს“ ნაციონალიზმი ედება სარჩულათ. და აი სწორეთ ეს ხდება დღეს ჩვენში.

ყველა უწყის, რომ რუსეთის სახელმწიფოში სხვა დამორჩილებულ და შემოერთებულ ერებში ქართველი ერიც ჯერევია. ადვილი წარმოსადგენია, რომ მარტო ეს გარემოება ყველა ცრუ პატრიოტს და ხალხის მყვლეფელს საკმარისს საბაბს აძლევს ეროვნულ დაჩაგვრაზე და შევიწროებაზე ილაპარაკოს და წეროს. ამ ნიადაგზე მეტათ ადვილია ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველის სახელი მოიხვეჭონ. ხოლო ის სულ სხვა საქმეა, თუ რა ფასი ექნება, ან რა ღირსების იქნება ასეთი სახელი. ადვილათ შესაძლებელია, რომ ის, ვინც ხალხს ყველეფდა, იმავე ხალხის კეთილისმყოფელათ გამოვიდეს საზოგადოების თვალში; იმან კი, ვინც დედა ენას დევნიდა, ამავე ენის მისარჩლეთ გამოიყვანოს თავი. საკმარისია თქვა, რომ სამშობლო ენას დევნიან, სკოლებიდან აძევებენ; საკმარისია აღნიშნოთ, რომ ჩვენებურ ხალხს არ ღებულობენ სამსახურში, და თუ ღებულობენ მცირე ადგილებს აძლევენ, რომ გულუბრყვილო ხალხმა თქვენ მის კეთილისმყოფელათ მიგიღოს. მაგრამ თუ თქვენ ამავე დროს თქვენი დედა-ენის ჯალათი ხართ, ან თუ თქვენვე, ანგარიშის გამო, ე. ი. პირადი სარგებლობის გამო, თქვენივე ერის ხალხს არ აძლევთ სამუშაოს, და მის მაგიერ გარეშე ერის ხალხს იწვევთ, ან და თქვენივე ტომის ხალხის ოფლით იკვებებით, ეს არაფერი, ამას ნაციონალისტი ნაკლულევანებათ როდი ჩაგითვლიან. აბა იგი რაღა ნაციონალისტი იქნებოდა! მართალია, დღევანდელი ნაციონალისტები ის აღარ არიან, რაც ამ 30—40 წლის წინეთ იყვენ. ამ ხნის განმავლობაში იმათ დროის შესაფერათ იცვალეს ფერი. წინეთ თუ ისინი საქართველოს ძველი დიდების აღდგენაზე და სხვა ამისთანებზე გაიძახოდენ, დღეს ამას აღარ იგონებენ; პირიქით, თუ შემთხვევა მიეცათ, სხვის დასანახავათ, კიდევაც გაიცხავენ ასეთ მიმართულებას, და სამაგიეროთ ფართო დემოკრატიულ მოთხოვნებს აცხადებენ. ერთი სიტყვით, თავის თავი გამოყავთ მუშა ხალხის მფარველათ, იმისი ინტერესების დამცველათ და მოსარჩლეთ. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, როცა ამ მუშა ხალხის გული ვერ მოიგეს. ის თითქო ასეთ პასუხს აძლევს ჩვენ ნაციონალისტებს: ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო! თუ თქვენ მუშა ხალხის ინტერესებს იცავთ. ეს ისეთაც აშკარა იქნება, რაღა საჭიროა ამის ძახილი! ჩვენ თითონ გავარჩევთ ჩვენ ძმებს და ჩვენ მოყვარეს. მაგრამ აქ ჩვენი ოინბაზები ლაპარაკის კილოს ცვლიან: თქვენ გპატრონობენ ისეთი პირები, რომლებსაც არ უნდათ, რომ თქვენ დედა ენაზე ილაპარაკოთ, და სწავლა მიიღოთ; რომელსაც სურთ, რომ თქვენ მიწა-წყალს უცხო ტომის ხალხი დაეპატრონოს; რომლებსაც არ უნდათ, რომ თქვენ თვითმართველობა გქონდეთ და თავის საქმეებს თითონ კანაგებდეთ, თითონვე ადგენდეთ კანონებსო. და აი ჩვენ ყველა ამას თქვენ გაძლევთ, ოღონდ თქვენ ავტონომიაზე თანხმობა განაცხადეთო. მართალია, დღეს ჩვენ ხალხი, განსაკუთრებით მუშა ხალხმა, ისე გულუბრყვილო აღარ არის,

რომ უველაფერი ეს დაიჯეროს: მისთვის დღეს სიტყვას მნიშვნელობა როდი აქვს, იგი საქმეს უყურებს. მაგრამ ეს როდი ამართლებს ჩვენი ნაციონალისტების საქციელს! განა იმათ არ ესმით, რომ ქართველი ბურჟუაზიის, ქართველი თავად-აზნაურობის და სამღვდელოების ინტერესებს არაფერი საერთო არა აქვთ ქართველ მუშა ხალხთან, გარდა იმისა, რომ ისინი ერთათ, ერთ ტერიტორიათ ცხოვრებენ?—როგორ არა აქვთო,—გვეტყვიან ჩვენ: მაშ ქართული ენა არ აერთებთ იმათ? განა ქართულ ენის განვითარებაში უველანი ერთნაირათ არ არიან დაინტერესებული? რომ ენა, როგორც ჰაერი, უველასათვის საჭიროა, ამაზე მეტია ლაპარაკი. მაგრამ, ვისაც ამ ნიადაგზე უნდა სხვა და სხვა სასაზოგადოებრივ კლასების შეერთება, მორიგება და ან შეთანხმება, ის ან განზრახ იბრმავებს თვალს და ან უნებლიეთ შეცდომაში შედის. განა შესაძლებელია, რომ ქართველმა კაპიტალისტმა ქართველს მუშას მისცეს დღიური ქირა 1 მ. 20 კაპ., თუ სხვა ტომის მუშა იმავე საქმის გაკეთებაში თანხმდება მანეთათ? მაშ რას აჩხირებენ აქ ან ენას, ან ეროვნებას? ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვითომც უარვყოფდეთ ეროვნებას. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი არსებობს ისე, როგორც არსებობს რუსის, ან სხვა რომელიმე ერი. მაგრამ საზოგადოებრივ ურთი-ერთობაში მთავარ ძალას წარმოადგენს არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასთა ბრძოლა, არა ეთნოგრაფიული საგანი, არამედ სოციალური საკითხი. მაგრამ სოციალურ კითხვაზე როდი უყვართ მსჯელობა ჩვენ ნაციონალისტებს. ისინი მაშინვე სხვა ქვეყნის მაგალითებზე მიგითითებენ. თუ სხვა ერები შეადგენენ ცალკე სახელმწიფოს, თუ სხვაგან წვრილ ერებს მოწოდებული აქვთ ავტონომია, თუ მაგალითათ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვ. ცალკე სახელმწიფოებს შეადგენენ, საქართველომ რაღა დააშავა, ქართველი ერი რათ უნდა იყოს ამას მოკლებული. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენათ გონივრულია ასეთი კითხვის დაყენება. ჩვენ იმას მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორ, რა ძალდატანებით და ძალმომრეობით გაკეთდა დღევანდელი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საზღვრები: რით ხელმძღვანელობდენ იმათ შექმნის დროს, ეროვნული პრინციპით, თუ ეკონომიურ მოსაზრებით? ვისთვის, რომელი საზოგადოებრივი კლასებისთვის იყო საჭირო დღევანდელი სახელმწიფოების დაარსება და იმათი ზრდა-განვითარება? განა მმართველი ხალხის ინტერესი მოითხოვდა იმ ზღუდეების ამართვას სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ბურჟუაზიულმა მთავრობებმა შექმნეს? მაშ დღევანდელი მილიტარიზმიც მუშა ხალხის სასარგებლოთ ყოფილა გამოგონილი. არა, მთელი ქვეყნის მუშა ხალხის მიზანს შეადგენს ამ ზღუდეების დანგრევა, და უველა ქვეყნის მმართველი ხალხის შეერთება. მაგრამ ამ ზღუდეების დანგრევა არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, ისეთ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, რომლებიც ბუნების, ე. ი. ფიზიკურ პირობების, შედეგია. როგორც ვთქვით, დღევანდელი სახელმწიფოები თავისი საზღვრებით კაპიტალისტური წარმოების ნაყოფია, და მუშა ხალხი არასოდეს არა თუ არ შეუწყობს ხელს დღევანდელი სახელმწიფოების გამაგრებას, არამედ ყოველთვის ეცდება, რომ დღევანდელი სახელმწიფოები მთელი თავისი ციხე-სიმაგრეებით და გარშემორტყმული ზღუდეებით, საზღვრების სახით, დაინგრეს. აი ასეთ დროს, ნაციონალისტები გაიძახიან ავტონომიის შემოღებაზე. ჩვენი ნაციონალისტების აზრით, ეროვნულ საკითხს გადაწყვეტს ავტონომია; ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეროვნული კითხვის გადაწყვეტა ამით არა თუ გაადვილდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება. მაგალითი იგივე ავსტრო-უნგრეთია, რომელზედაც ასე ხშირათ გვითითებენ ჩვენი ნაციონალისტები. იქ უმთავრეს ეროვნებას [illegible] აქვთ ავტონომია საკუთარი პარლამენტით [illegible] რეთ ისეთით როგორსაც ჩვენი ნაციონალისტები თხოულობენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეროვნული საკითხი სწორეთ იქ არის საშინლათ გამწვავებული. მაშ როგორ გსურთ ეროვნული კითხვის გადაწყვეტაო. მაშ რა საშუალებას იძლევით, რა გზას დავადგეთ, რომ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება, შუღლი და მტრობა მოისპნოს,—დაგვეკითხებიან ჩვენ. ჩვენი შეხედულებით ეროვნული კითხვა ბოლოს და ბოლოს იგივე სოციალური კითხვაა, მხოლოთ ნაციონალურ ქერქში გახვეული. ამიტომ მისი გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იგონებს მშრომელი ხალხი თავის კლასობრივ მდგომარეობას. როცა შეერთდებიან ერთი მხრით თითოეული ერის უველა მუშები და მეორე მხრით უველა ერების მუშები უველა მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხობენ დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ბოლოს მოუღებენ კერძო საკუთრებას და დაქირავებულ შრომას, ე. ი. როცა ბოლო მოეღება დღევანდელ სოციალურ განხეთქილებას, მაშინ საბოლოოთ გადაწყდება ეროვნული კითხვაც.

ფ. მახარაძე.

მთავრობის განკარგულება

დებულება კავკასიის პოლიციის შესახებ.

1) კავკასიის პოლიციის გამგე ნამესტნიკის თანაშემწეა და მიენიჭება ამ თანამდებობის უველა უფლება და უპირატესობა.

2) პოლიციის გამგე თვალ-ყურს ადევნებს, ნამესტნიკის ხელმძღვანელობით, კავკასიაში სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვას.

3) პოლიციის გამგეს ეძლევა წელიწადში 12 ათასი მან. ჯამაგირი.

4) პოლიციის გამგეს აქვს საკუთარი კანცელარია, რომელმაც უნდა აწარმოვოს თავისი უწყების უველა საქმე.

5) პოლიციის გამგეს ექვემდებარება ადგილობრივ საგუბერნიო, საოლქო და რკინის გზის გამგეობათა უველა მოხელე და ციხეების ჟანდარმთა რაზმები იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება სახელმწიფო დანაშაულობათა აღმოჩენას და გამოძიებას.

6) ადგილობრივ ჟანდარმთა უველა გამგეობის მოხელეთა დანიშვნა, გადაყენება, სხვა ადგილზე გადაყვანა სწარმოებს პოლიციის გამგის წარდგენით, საზოგადო წესისამებრ, მხოლოთ იმ ცვლილებით, რომელიც აღნიშნული იქნება დებულებაში კავკასიის ნამესტნიკის შესახებ.

7. პოლიციის გამგის მოვალეობა:

1. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწევს კავკასიის უველა საგუბერნიო ჟანდარმთა საპოლიციო გამგეობებს და საზოგადო პოლიციას, რომელიც აწარმოვებს საიდუმლო გამოძიებას, ზედამხედველობას, პოლიტიკურ დანაშაულობათა გამოკვლევას და აღკვეცას და უველგვარ პოლიტიკურ მოძრაობის გამოძიებას. პოლიციის გამგის განკარგულება ამ საგნების შესახებ მოხსენებულმა პირებმა და დაწესებულებებმა დაუყოვნებლივ უნდა აასრულონ;

2. პოლიციის გამგე ხელმძღვანელობას უწევს საიდუმლო პოლიციის მოქმედებას, ნამესტნიკის მიერ აღნიშნულ წესით და პოლიციის დეპარტამენტიდან მიღებულ საზოგადო მოსაზრებისა დაგვარათ;

3. ხსენებულ ორ მუხლში მოყვანილ საგნების შესახებ პოლიციის გამგე, ნამესტნიკის განკარგულებით, უგზავნია გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს განმარტებასა და წინადადებას;

4. განაგებს თანხას, რომელსაც პოლიციის დეპარტამენტი აძლევს კავკასის ჟანდარმთა გამგეობებს და საიდუმლო პოლიციას;

5, თვალყურს ადევნებს, თუ რამდენათ წესიერათ ეკიდებიან სატუსალოებში პოლიტიკურ დამნაშავეთ და შესაფერ განკარგულებას იძლევა ამ საგნის შესახებ;

8. პოლიციის გამგეს გუბერნატორებსავით უფლება აქვს ერთ თვემდის დაატყვევოს ის პირნი, რომელნიც შეიპყრეს სახელმწიფო წესწყობილების და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველათ არსებულ დებულების ძალით.

9. მოხსენებულ საგნების შესახებ პოლიციის გამგეს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგთან, რომელიც განაგებს პოლიციას, პოლიციის დეპარტამენტთან, სამოსამართლო პალატების ბრალმდებლებთან, გუბერნატორებთან, ოლქის უფროსებთან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან.

10. თუ სამე წესიერება დარღვეულ იქნა, პოლიტიკური ხასიათის შემთხვევა მოხდა, ან ადგილობრივ ცხოვრებაში რომელმამე არა-ჩვეულებრივმა მოვლენამ იჩინა თავი, ჟანდარმთა კორპუსის და საზოგადო პოლიციის მოხელეები აცნობებენ აგრეთვე პოლიციის გამგესაც.

11. პოლიციის გამგეს ეძლევა უფლება:

ა) დროებით გააძლიეროს საჭიროებისამებრ ჟანდარმის უნტერ-ოფიცერთა რიცხვი—მოაკლოს ჟანდარმთა ერთს რომელსამე გამგეობას და მეორეს მოუმატოს.

ბ) დაამტკიცოს ან გამოსცვალოს ჟანდარმთა უნტერ-ოფიცრების სადგურები კავკასიაში;

გ) თუ ჟანდარმთა რომელსამე გამგეობას მოხელეთა საკმაო რიცხვი არა ყავს, სხვა გამგეობიდან შეავსოს;

დ) თუ საჭიროება მოითხოვს, პირადათ ან თავის ხელქვეითთა შემწეობით მოახდინოს რევიზია პოლიტიკურ საქმეების წარმოებისა და საიდუმლო პოლიციის ხარჯებისა.

—

სხვა და სხვა ამბები.

—ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა განაცხადა: რუსეთში საქმე ისე გაიხლართა, რომ ხაზინა ფულის შოვნას ველარ ახერხებს; თუ რუსეთის შინაგანი პოლიტიკა არ შეიცვალა, მე იძულებული ვიქნები სამსახურიდან გადავდგეო. (რ. ს.)

— ვენის გაზეთი ,,ცეიტ.''-ი სწერს: 21 მაისის ბრძანებით, პოლიციის მინისტრი ტრეპოვი ,,უფროსთა უფროსი'' გახდა. დღეიდან ტრეპოვს მინისტრებიც უნდა დემორჩილნენო,—სწერს ზემოხსენებული გაზეთი (რ. ჯ.).

— გაზეთ ,,მატენ''-ის აზრით, პოლიციის სამინისტროს დაარსებით რუსეთში განახლდა განთქმული მესამე განყოფილება (რ. ვ.).

— ბალტიის ზღვის მეზღვაურებმა გაქცევას მოუხშირეს. ზოგჯერ მთელი ჯგუფები მირბიან და საზღვარ-გარეთ გადიან. ამ დღეებში პოლიციამ რიგაში 25 მატროსი დაიჭირა და პეტერბურგში გაგზავნა. (ნ. ჟ.).

— ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის კომისია გაუქმდა. მიზეზი ის იყო, რომ კომისიის ზოგიერთი წევრი არ თანხმდებოდა მუშათა კავშირებისა და გაფიცვის დაკანონებაზე. კომისიას ცნობილმა სენატორმა შიდლოვსკიმ პირველმა დაანება თავი. შიდლოვსკი დიდი წინააღმდეგია იმისა, რომ მუშებს გაფიცვისა და კავშირების უფლება მიეცეს. (რ. ვ.).

—

ქუთაისის საპყრობილეში ტუსაღები გაფიცულან. როგორც მოგეხსენებათ ტუსაღებსაც აქვთ ერთი საშვალება გაფიცვისა. სახელდობრ საჭმელზე ვარის თქმა. და აი ქუთაისის საპყრობილეში ტუსაღებმა შიმშილობა ჩამოაგდეს. როგორც გავიგეთ, რამდენიმე კაცი თითქმის სიკვდილის პირზე მიმდგარა უჭმელობით. უმთავრესი მიზეზი ასეთი საზარელი გაფიცვისა არის ხიდისთაველი ტუსაღების საქმე.

1903 წლის გიორგობისთვეში დაბა ჩოხატაურში ჯარში გასაყვანი ახალგაზდები იყვენ მოწვეულნი კენჭის ამოსაღებათ. კენჭის ამოღების შემდეგ ახალგაზდებმა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს და ბაზარში წითელი დროშით ჩამოიარეს. მთავრობამ ეჭვი მიიტანა რამოდენიმე კაცზე და დაატუსაღა. მას შემდეგ, წელიწადი და რვა თვე გადის, ისინი ციხეში სხედან და საქმე ჯერაც არ გარჩეულა.

1904 წლის ორ მაისს სოფ. ხიდისთავიდან ორასიოდე ქალი და კაცი ჩოხატაურისკენ გაემგზავრა, რომ იქ სხვა სოფლელებთან ერთათ მოელაპარაკნათ მემამულეთა მიწების შემუშავების შესახებ. მშვიდობიანათ მიმავალ ხალხს გზაში პოლიცია გადაეღობა და ორი კაცი მოუკლა. ერთი იმათგანი ესე კალანდაძე მთელ საზოგადოებაში ცნობილი იყო, როგორც მართალი, გამბედავი და პატიოსანი ადამიანი. ამ საქმის თაობაზე ხიდისთავში ბევრი კაცი დაატყვევეს და ისინიც ქუთაისის სატუსაღოში სხედან. მათი ბრალდება, წითელ ბლანკებზე დაწერილი და სიმართლეს მოკლებული, უთუოთ რომელიმე გამომძიებელის შკაფში აწყვია. საბრალო ტუსაღებს კი შიმშილით სიკვდილი უმჯობინებიათ აყროლებულ ციხის კედლებში ტანჯვა წვალებით ჩარჩობას.

— თბილისის მაზრის უფროსს აცნობა კოდის საზოგადოების მამასახლისმა, რომ არც ერთი სოფელი ჩემდამო რწმუნებულ საზოგადოებისა არავითარ გადასახადის გადახდას არ აპირებსო. მამასახლისი სთხოვს მაზრის უფროსს ამის შესახებ რაიმე ღონის ძიება მიიღეთო.

— სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებათა უმეტესობამ გააფრთხილა თავისი აგენტები, რომ კავკასიაში პოლიციის მოხელეთა სიცოცხლის დაზღვევა რაც შეიძლება შეამცირონ.

— თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის განკარგულებით, ზედამხედველობა სახელმწიფო დანაშაულობის საქმეთა წარმოებისა და ამასთანავე ოლქის სასამართლოს, პროკურორის ყოველგვარ მოვალეობის ასრულება, რომელიც 1904 წლის 7 ივნისის კანონიდან გამომდინარეობს, ევლება სამოსამართლო პალატის პროკურორის თანაშემწეს სკოპინსკის, რომელსაც ამხანაგათ დაენიშნება საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე ტურბოვიჩი.

— 1 ივნისს ნახაჩევანის მიდამოებში, ჯულფის გზაზე და საზღვარზე ჟლეტა-ხოცვა იყო.

— 31 მაისის ღამემ ერევანში წუნარათ ჩაიარა. პირველ ივნისს დილით ხალხი ბევრი იყო. ქალაქში ყველა შეშფოთებულია. ამ დღემ 12 საათამდე მშვიდობიანათ ჩაიარა. სომხებისა და თათრების მორიგება ვერ მოხერხდა. ჟლეტა-ხოცვა და ცეცხლის წაკიდებაა სომეხთა სოფლებს ხანლუკლიარსა, აპაკლუსა და დიდილში.

— 30 მაისს ლოძის მახლობლათ ლეგენიკაში, ბრბომ მოკლა ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი პრინიჩენკო.

— მინსკის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრო-

ბასთან, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქნან ხალხის წარმომადგენელნი.

— განთქმულ ზუბატოვს, რომელიც მუშათა თანამედროვე მოძრაობას განუვითარებელ მუშათა ორგანიზაციებს უყენებდა წინ, მთავრობამ წელიწადში 5000 მანათი პენსია დაუნიშნა.

— მარიუპოლში, 30 მაისს. ნავთ-სადგურში მუშები სამუშაოზე არ გამოსულან, მთელი დღე სიწყნარე იყო. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით თხოვონ, იმუამდგომლოს ხელმწიფის წინაშე ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივს მოწვევაზე.

— ბოგოროდსკში, 30 მაისს, შიბაევების ბირჟაზე გაიფიცა 880 ფეიქარი; თხოულობენ: ხელფასის მომატებას შეფასებით და სამუშაო დროის შემცირებას.

— ვილნიდან ტელეგრამით იტყობინებიან: 30 მაისი. პოლესის რკინის გზათა საერთო საკრებულომ დაადგინა: ამიერიდან ამ გზებზე მომუშავეთა და მოსამსახურეთა ალარავითარი ჯარიმა არ გადაახდევინონ; სახელოსნოებსა და დეპოებში დაწესონ 9 საათის სამუშაო დღე, შაბათობით კი—7 საათისა. მუშებს მიმართონ ხოლმე „თქვენობით“; იმ მუშას, რომელსაც სამი წელიწადი უმსახურია, რკინის გზის უფროსი კომისიის გამოუძიებლად ვერ დაითხოვს. ამ კომისიაში მუშების წარმომადგენლებიც იქნებიან.

— 28 მაისს ტიუმენის მტვირთველ მუშებს შეუერთდენ დაბახანისა, მხერხავისა, თუჯის ჩამომსხმელ ქარხანების მუშები და მაღაზიის ნოქრები. აირჩიეს დეპუტაცია ოთხოვნილებათა წარსადგენად. მუშათა პეტიციას, 29 მაისს, განიხილავს სოვდაგართა კრება. ნოქართა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. სამუშაო დღე 10 საათით განსაზღვრეს; უქმე დღით შესვენება და სამედიატორო სამართალიც დააწესეს.

— 2 ივნისამდე ქუთაისში საერთო გაფიცვა იყო ყველა დუქნები დაკეტილი იყო. ქუჩებში ეტლების მიმოსვლა შეწყდა; მხოლოთ კაზაკები და ჯარები დადიოდენ. გუბერნატორის ბრძანებით დაკეტეს ბულვარი და თეატრიც. 2 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, გაფიცვა დასრულდა მას შემდეგ, რაც საპყრობილედან გამოუშვეს 15 პოლიტიკური ტუსაღი, რომელიც ერთ წელიწადზე მეტია, რაც სატუსაღოში იჯდენ.

— ბ-ნ ჰ. ა. გოთუას მაგივრათ ბ-ნი პეტრე მირიანაშვილი დაინიშნა ცენზორათ.

— კოდის სოფლის საზოგადოების მამასახლისმა აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს: ჩემდამო რწმუნებულ სასოგადოების გლეხები არავითარ გადასახადს აღარ იხდიან და გთხოვთ, რამე ღონისძიება მიიღოთო.

— გაფიცვის გამო ქალაქის საყასბოში საქონელს ხოცავენ ჯარის კაცნი და ფურგუნებით წამოღებულ ხორცს ქალაქს დუქნებამდის კაზაკები მოსდევენ.

— რადგანაც სამაზრო სამხედრო საკრებულოებმა არეულობის გამო ვერ წარმოადგინეს საგუბერნიო სამხედრო საკრებულოში სიები იმ ყმაწვილ-კაცებისა, რომელნიც უნდა გაეწვიათ სამხედრო საკრებულომ შეაერთა წარსულ სამი წლის გაწვეულთა რიცხვი და ერთათ წარუდგინა მთავრობას. ამ ანგარიშიდანა სჩანს, რომ ქ. თფილისიდან წელს გაიწვევენ 604 ყმაწვილ კაცს, ტფილისის მაზრიდან—736 ახალქალაქიდან—815, ახალციხიდან —370, ბორჩალოდან—1053, გორიდან—2158, დუშეთიდან—662, სიღნაღიდან—1108, თელავიდან—731 და თიანეთიდგან— 293 კაცსა.

— სამეგრელოში შიმშილობა ჩამოვარდნილა სიმინდის უქონლობისა გამო. მცხოვრებნი გამგზავრებულან კავკასრისა და არმავირისკენ სიმინდის შესასყიდათ.

— 31 მაისს, კავკასიის ტყის უფროსების კრებამ დამთავრდა. კრებამ დაადგინა: შემოღებულ იქნას ეროვნება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მონასტრებისა და ეკლესიების მიწებით დასაჩუქრების მოსპობა, გადმოსახლების საქმის შეჩერება და მცირე მამულიან გლეხების მამულებით დაჯილდოვება, ტყის გამგეების-მიერ აუცილებლივ ადგილობრივ ენებს ცოდნა და სატყეო საშუალო სკოლის დაარსება, სადაც ყველას, განურჩევ-ათ ეროვნებისა, უნდა ქონდეს სწავლის ნება.

— 31 მაისს საბჭოს დარბაზში კრება ქონდათ წვრილ მოვაჭრეებს, რომელთაც ქალაქის თავის მოადგილემ თავ-ჩერქეზაშვილმა განუცხადა, გუბერნატორის ნებადაურთველად კრების გამართვის ნება ვერ მოგცემთო. ვაჭრებმა მაინც დაადგინეს, განაგრძონ გაფიცვა ვიდრე მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

— თამამშევის ქარვასლის პატრონებმა მოვაჭრეებს მხოლოთ ვალი, 7000 მანათი აპატიეს, ჭირების დაკლებაზე კი უარს არიან. ქალაქის ყველა ნაწილში პოლიციამ კაზაკების დახმარებით ძალათ გააღებინა დუქნები. ვოგზალთან პოლიციამ ჩალეწა ერთი ღვინის სარდაფი, რადგან პატრონი არ აღებდა.

— სამშაბათს, 31 მაისს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, თამამშევის ქარვასლის კარებთან მოკლეს მეოთხე საპოლიციო უბნის პოლიციელი ნიკონ შელუხი. მკვლელი აღმოჩნდა სოფ. დიდთონეთის მცხოვრები, ივანე დიმიტრის ძე შავშიშვილი; შავშიშვილი წინათ რკინის გზის სახელოსნოებში მსახურებდა თურმე და ამჟამათ უსაქმოთ დაიარებოდა.

დაბა—სოფლის ამბები.

სოფ. გუბი. დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას არც გუბი ჩამორჩენია უკან. შვიდ თვეზე მეტია, რაც სახლი ჩამოცლა მთავრობის დაწესებულებათა; დღეს თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეებს, და უნდა საამოვნებით აღვნიშნო, რომ რაც ეს შინაურული მართვა-გამგეობა შემოიდეს, მას შემდეგ ძალიან იკლო უბრალო საქმეებზე სჩივარმა, რომელსაც—აქ «კლიაზნიკობას»-ს ეძახიან და მომჩივანს თვით მოსამართლის ზნეობრივი სისუსტე. თუ რაიმე საქმეა გასარჩევი, ამხანაგურათ, მეზობლურათ, ულაპარაკოთ მოიწვევენ ამისათვის სოფლის დანიშნულ მოსამართლეებს, და თუ წინათ ასეთ საქმეზე ორივე მხარეს 500 მანეთობით ეხარჯებოდათ, დღეს ერთი კაპეიკაც აღარ ეხარჯებათ და საქმეც მალე თავდება. ასეთი სასამართლოს განარჩენით ორივე მხარე კმაყოფილი რჩება და მხიარული გამოდიან სასამართლოს დარბაზიდან. ადგილ-მამულის საქმეც უჩხუბრათ და უძახმობრეობით მოაგვარეს:—პირველი ხარისხის მაწა გაიცა სამეოთხედათ, (წინათ სანახევროთ იყო) მეორესი—სამეშვიდეთ, ხოლო მესამესი—სამეათედოთ, ანუ ქცევა 50 კაპეიკათ.

გუბის მოზრდილ თაობასაც არ დაუკრებია გულზე ხელი. მათაც იგრძნეს ეხლანდელი სკოლის სრული კეთილება, და შეუერთეს ბროტესტის ხმა თავიანთ ამხანაგებს. მარტის შუა რიცხვებში, ერთ მშვენიერ დღეს, დღევანდელი განახლებული ბიუროკრატიული სასკოლო პროგრამა უყვარებისა და გონების დამხრჩვალებათ აღიარეს. ორივე სკოლებმა—ქალებისამ და ვაჟებისამ მასწავლებლებს განუცხადეს: „ვეღარდებით რა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს ვიღებთ დღეიდგან სწავლაზეო“ და თანაც ორივე სოფლებში, დიდსა და პატარა გუბში, წითელის დროშებითა და „მარსელიეზას“ და „дружно товарищи“-ს სიმღერით დემონსტრატიულათ ჩამოიარეს.

ამას მოუვა მასწავლებელთა გაფიცვაც, რაც ბოლო წელს ამ წელში შეჩერებულია, და მოსალოდნელია, მეორე წელშიაც შეჩერდეს.

ზოგიერთები რომლებიც სანათლეს ერიდებიან და თავების სორას ეფარებიან, გაიძახიან:—„წახდა დრო, ხალხი გაირყვნა, ადარ არის მორიდება და უფროსის ბატივისცემა, და თუ ამ დრომ დიდხანს გასტანა, შენი მტერი ჩვენ უფსკრულის კარებზე მივიდეთო“. ნუ დაივიწყებთ, რომ ამას გაიძახიან ისეთი ბიჭები, რომელთა ბედნიერება სხვის უბედურებაზე იყო აგებული, და თუ დღეს ასეთა უკმაყოფილონი არიან, ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ჩვენ ეს სრულიად არ გვაშინებს. ზოგიერთი «კერპები» ვითომ გასწორდნენ და გაიძახიან:—„გაუმარჯოს ხალხის ერთობა“-სო, მაგრამ ხალხი დარწმუნებულია, რომ ამით ისინი თვალს ვერავის აუხვევენ.

ლადო გუბელი.

—

ქ. ხარბინი, 22 აპრილი (სპეციალური კორესპონდენტისაგან) მოსკოვიდან გველი 30 მარტს სალამოთი; ჩვენს მატარებელს ორი შეორე კლასის სამხედრო ვაგონი ახლდა ოფიცრებისათვის. შორეულ აღმოსავლეთში სამოცამდე ოფიცერი მიემგზავრებოდა, რომელთა შორის ხუთამდე ქართველი იყო; სისხლის შორის ბოდბოლოკოვნიკი ერისთავი, რომელიც დაინიშნა სახალხოის დამცველ ჯარში; როგორც აქ ისმის, მაისის ბირველ რიცხვებში, ევროპის რუსეთიდან აქ უნდა ჩამოვიდეს 400,000 ჯარის კაცი; იმათკენ ერთი დიეზია გაგზავნეს სახალხოზე, დანარჩენი ქ. ეკატერინოსლავში. ამ დროს შეჩერებული იქნება ცომბირის რკინის გზაზე სარკინიგზის და ბარგის მატარებლთა მოგზაურობა, აგრეთვე დაწრილთა ევაკუაცია, ხოლო სამოსტო მატარებელი, ხშირ დაღის, კვირაში ცომბირის ფოსტის ორჯერ წაიღებს შიდა რუსეთშიო. ამიტომ მოსკოვიდან თითქოის ეგელა სადგურზე მხვდებოდა სამხედრო (სამხედრო) მატარებელი დაწრილ ჯარის კაცებით გაჭედილი; თუმცა ცოდა და სალდათები მარტო ეთორეულის ამარა იყვნენ თავიანთ მე-4 კლასის ვაგონებში, მაგრამ სხვა ეგელას უბრწყინავდა სამშობლოში დაბრუნების იმედით. მაგიდოდა თუ არა ჩვენი მატარებელი სადგურში, სადაც სამხედრო მატარებელი იდგა და ჩვენს მისვლას უცდიდა, დაწრილნი მაშინვე თავის ვაგონებს, „ტეხლუშკებს“, თანჯრებს მისცვივდნენ, და ცნობის მოყვარეობით გვაცქერდებოდნენ, იქნება ვინმე ნაცნობი ვნახოთო. რამდენს უფრო და უფრო უახლოვდებით ურალის მთებს, სადგურებში იმდენათ მეტ ღელვას ამჩნევთ სამხედრო ეშელონებს: მამავალთა სახეზედ სრული სასიხარულეთილება იხატება. კამეჩდებელნი გულ-ამოშჯარნი სტიხიან. არავის არ სჯერა ამ ომის მოგების, არავის არ აწყენს ბრძოლის ველზე რაიმე შეგნებული ინტერესი და თუ მიდის, მიდის ისე, როგორც დასავლავთ გამზადებული ხარი სასაკლაოზე. ჭისაც კი გვეკარი სალაპარაკოთ ომში მიმავალთა განს, ყველა სრული ზიზღით იგონებს ბიუროკრატიას, რომელმაც ეს განსაცდელი თავს მოგვახვია. თუ რამდენათ შეუძლია ადმოსავლეთში მიმავალთა სული და გული, ბიუროკრატიისადმი სიძულვილს, სჩანს იქიდან, რომ ჩვენ მიმავალ ორ სამხედრო ვაგონში არ დარჩენილა არც ერთი, რომელსაც არ ეთხოვოს და არ წაეკითხოს ახლათ გამოტეშული ფრანგულიდან ნათარგმნი ბატარა წიგნაკი შემდეგი სათაურით: „Они не знали“..., რომელიც მე ერთ სადგურზე ვიყიდე შემთხვევით. შესანიშნავია ისიც, რომ ცომბირის გაზეთები, ხშირათ წერტილებითა და დაუსრულებელი ახრებითა სავსე. მაგ. „ადმოსავლეთის უწყებაში“, რომელიც არკუტსკში გამოდის, ტელეგრამები განახვრებულია, ასე რომ რაიმე ახალი ამბის თავს გაიგებთ ტელეგრამითო, ხოლო დასრულებით კი თვით მკითხველის გონებას უნდა დასრულდა. თუმცა არც ჩვენშია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ცომბირთან შედარებით ბევრათ უკეთეს მდგომარეობაშია. ხსენებული „ადმოსავლეთის უწყება“ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა სამი თვით, მარტო იმიტომ, რომ „Нов. Врем.“-დან გადაბეჭდეს კადეტის წერილი, რომელიც სამხედრო წყობას შრომის სდების ჩვენი თეატრის უგარგისობისათვის. მოულოდნელათ გაშიშვლებული გაუვალი ტეები (ტაიგები) ან გაჩეხილია ხალხის მცირეველობით, ან გადამწვარი.—ქვემოულინსკში კიდევ დაწრილთა მატარებელი შეგვხვდა: ბევრი მათგანი უთვალო, უხელო, უფეხო იყო; ბიჭები ამათაც თხოვნა—გაზეთი იყო. ჩვენ არ ვიცით, რა ხდება სამშობლოში, გაგვაგონეთ იქაური ამბავი, „სიბრალულია, უბრალოთ დამნაშავენი, სიცელების ამარა იყვენ, სიცივე-ტკივილებისაგან სული უწუხდათ, მაგრამ სახე უბრწყინავდათ, შინ მიდიოდენ!! შინ მიდიოდენ: სიკვდილიდან სიცოცხლეში, და სახეზე სიხარულის შუქი უბრწყინავდა, იმისდა მიუხედავათ, რომ ხმელ ძელებზე ეყარენ დაწრილ-დასენიანებულ-დაქანცულები.

დამდები და ჩვენც ზემოულინსკში შევდივართ. ქალაქი არაერთია შესანიშნავი და თუ მოვიგონე იმიტომ, რომ იმ დღეებში, როცა ჩვენ აქ შევედით, დაიხურა აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სტუდენტები დათხოვილ იქმნა 1 ენკენისთვემდე. მიუხედავათ ჩატის და ჩვენს თვალწინ გადიშალა შვენიერი, კოხტა ქალაქი ევროპიულათ მორთული, ფართე ქუჩებით, დამშვიდი ქვაფსა და ბაღების შენობებით. შევედით თუ არა სადგურში ბირველათ სიტყვა „ზაბასტოვკა“ გავიგონეთ. ყველას ეს სიტყვა ეკერა ბირზე. სანქმე იმაში, რომ წინადღეებში რკინის გზაზე მომუშავეთ მუშაობის შეწყვეტა განეძრახათ, ეს გაეგო მთავრობას და მაშინვე ორი რკინის გზის ბატალიონი მოეწვია თან უწესრიგების საწინააღმდეგოთ და თან, თუ ვინიცობაა, მუშები მუშაობის შეწყვეტდენ, სიდათები იმათ ალაგს დაეყენებინათ, მაგრამ ცდამ ამათი ჩაიარა: მუშაობა არ შეწყვეტილა გზაზე,—აქ ხმა დადის, ვითომ რუსის ჯარის წინამძღოლთ არავითარი წინააღმდეგი, ბლანი, სისტემა არა ქვთ შედგენილი და შეტაკების დროს შემოხვევა რასაც ჩვენებს, იმას ემორჩილებიანო. როგორც მაგალითათ, დაიჭირანის ბრძოლის უჩვენებენ. რამდენათ მართალია ეს, აქ ჯერ არავინ იცის, ხოლო რაც შეეხება ჩვენი ჯარების „სულიერ განწყობილებას“, უნდა გამოვტყდეთ და ვთქვათ, რომ ნამდვილი ვესიამოვნით მეფობს; ყველა დაეტა სულით, რწმენა აღარ არის, გამარჯვება არავის სწამს. აი ის სიტყვები, რომელსაც ჩატაში ამეორებს როგორც მსედარი, ისე მოქალაქე და გლეხი. დვეთოვეთ ჩატა, ვოგზალიდან ერთ ვერსის მანძილზედ, მაღლობზედ წამომდგარიყო ხის ბატარა ეკლესია; გარეგნობით იგი არაერთია შესანიშნავი არაა, მაგრამ—ბევრს რამეს მოგითხრობს წარსულიდან: ის არის ისტორიული ნაშთი,—დეკაბრისტების ხელით აშენებული, ის გეუბნება, როგორის სისწრაფით იცვლება ადამიანი გარემოებათა და დროთა ვითარებათა ზეგავლენის ქვეშ!!... ჩატიდან იწყება თვალ უწვდენელი უტეო ველები—ბურიატების სამშობლო, რომელიც უეროდება აღმოსავლეთით მარჯვნივ, იმ გვარსავე გახრეოკებულ, უდაბურ მხარეს, როგორც ბირველი. რამდენიმე ასი ვერსის მანძილზედ საბურიატოში ერთ სასიამოვნო სურათს ვერა ნახავთ: გადამწვარი მინდვრები, გამხმარი—გავარენებული ბუნება; თვალი ვერსეერზედ ისვენებს. აი ის მხარე: სადაც შურიატი თავის ჯოგს და ფარას ძოვებს. ჩვენ ბურიატებმა ვერ გაგვამდიდრეს, თუმცა თითო სანქონელზედ, როგორც ჩვენი გვონის მოსამსახურეს თან მხლებმა (გიდმა) გვითხრა, ექვს შაურს ჩვენი მთავრობა იდებს ბურიატისაგანო; ბირველათ რომ რკინის გზა გასულა, მაშინ შეუჩვევლედ ბირუტყვეთ თურმე მუსრს ავლებდა მატარებელი ერთათ ხოცდა ოც-ოც აქლემს, მაგრამ დაშინებული ბატრონი-ბურიატი ამაღამებოდა და ამიტომ უველა იომენდა ამ შეკვიწროებას. ეხლა კი ბურიატი კადარიბდა, ისე ბევრი ჯოგები არდა ჭყვია როგორც წინათ ჭყვდათო, დაუმატა გიდმა; მთა-გორები მაღნებით მდიდარია ძალიან, მაგრამ ვინაა ბატრონი შეიმუშაოსო, განაგრძო მან: ჩვენ გვინდა ისეთი ადგილები, რომ

შრომა არ დაკვეთრდეს, ისე კვმდიდრდეთო. შეც, ამ ბურიატთა ულაბნოში მხოლოდ ერთი ბუფეტია სადგურ ბორძიაში, მაგრამ სწორედ წვალება იყო ვაგონიდან სადგურში შესვლა: ისეთი ქარი ჰქროდა, რომ ჩვენუკდა უკლავურს,—სახლების სახურავს, სადგათა ვალატკებს. მტვერმა ისე დაბნელა კარშემო, რომ არაფერი ჩნდა. სწორეთ ქარის სამფლობელოა როგორც ბურიატო, ისე მანჯურია. ხეტეის არსად არაფერი ჩანს, ბალახი კადამწვარია ზამთრის ეინგისაგან და ზაფხულის სიცხისა და ცეცხლისაგან. სადგურ მანჯურიაში მივედით დამის 9 საათზედ და ამასვე დამეს ხარბინში გავწეთ. მავჯურიაში, სად. ხაიდარში საგანგებო სწრაფი მატარებლით ჩვენ დაგვიარა მესამე კრმაის უფროსი, გენ. ბატიანოვი შუატანის კაცი, მძიმედ მოხუცებული (მარჯვენა ხელი გულზედ ჩა. მოკიდებული აქვს) მშვიდ, მოხუც მოქალაქეს ეფრო მოგვგონებსვიდრე მეომარს: მასში არაფერია ისეთი, რასაც შეუძლია დაღლილ, დაქანცული კაცი გააშინეკოს, გრძნობანი აუღელვოს, თავი დააკვეკებინოს, საერთო სული ჩაუდგას და ომის ველზე საბრძოლველად გააკვანოს: რწმენას ის გვრავის ჩაუნერგავს, ვერც გაუდვიძებს გულშემოხუცებულია, დასვენება ენატრება! მასთან ნამდვილ კონტრასტს, შეადგენენ მისი ადიუტანტები: ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსე, **„мамынькине сынки“**, ვოზწიათ გამოწეობილი, დამაზი კოზწიათ წვერ-ულვაშებით, ისინი ბანოვანთა კავალერების უფრო მომაგონებენ, ვიდრე მეომართ; ასე გეგონებათ, ეს ხალხი ბალში მიდიან საქორწილოთ გამოწეობილი და არა ბრძოლის ველზე სადაც ამოტეხა სისხლი იდგრება; მცირე დაღონების შეჩი მათაც გადაჰკრავს სახეზე.

19 აპრილს მივადწიეთ ხარბინში. დამის ორი საათი იყო. დამე გაგონებში დავრჩით: ვოკზალი მთლად ხალხით სავსეა—ზოგი უაზროდ და უმიზნოთ დახეტიალობდა ძილ მორეული, ზოგი ბუტერბროდსა და დუდს შეექცეოდა; ზოგიც გახშმობდა; ვის და რა ფორმის აქ არ ნახავდი, მაგრამ რიცხვით მეტი მხედრები იყვენ,—ოფიცრები, ექიმები და მოწყალების დაბა. მოელი ეს ხალხი ფუსფუსებდა, ზუზუნებდა, დაბრაკობდა და ეს ხმაურობა ჭაერს აყრუებდა. ზოგს, მეტათ დაღლილთ, ძინათ სადაც მოეხერხებათ: სკამებზე, სტოლებზე, იატაკზე, ტომრებზე, ან არა და თავისივე ბაკაუზე. ვოკზალის ბაქანზე ფუსფუსებდენ ჩინელი მუშები. შუატანისა, შავგრემანი, გრძელი დაწნილი თმით, არც წვერი, არც ულვაში, ისინი ბავშვებს გაგონებენ, სახე ძალიან კეთილი გულუბრყვილო გამომეტყველებისა აქვთ. ეყველა რამეს აკეთებენ. ნელა დინჯათ, აუჩქარებლათ, მაგრამ მედგრათ. რაგორც ეტყობა, ძალიერ სუსტი აგებულების ურდა იყვნენ. ჩვენი კაცი, გვთხეს, დინიათ ხუთ ჩინელს შეედრება. ათ შაურათ „ჯენერაკში“ ხუთ ვერსზე წაგეყვანენ თავის ფაიტონით (ჯენერაკშს ეძახიან მეფაიტონეს, რომელიც ფაეტონში ცხენის მაგიერ ეძიის და მეკუჭხარ) მაშინ, როცა ცხენიანი ფაიტონი 5—6 მანათს თხოულობს. თითო „კანეცი“ ჯენერაკში დირს ბაზაზი, სამი შაური. ამით სარგებლობს ეყველა, თითქმის სალდათიც. ბა ერთი მაგალითი: მთერალი სალდათი ვოკზალიდან მიდის ქალაქში 5 ვერსის მანძილზე, ქირაობს ჯენერაკშს ბაზაზი, ჯდება და მიდის, მაგრამ თან უდეერათ ეშეროზა ჩინელს, ცეშს, ნამდვილი ცხენი ჰგონია. ჯენერაკშა ჩერდება და უარს აცხადებს წაყვანაზე: ერთს მცირეთ დარტყამს სალდათს, ანებებს თავს და მიდის განზე. ამ ხერათ გადარჩა ჩინელმა სალდათს ჩვენ-თვალწინ უდეერი მოხეროზის სამაგერო. შეგიხერთ თუ არა ვოკზალში, კედელზე გაკრული განცხადებები ეშეროზს თქვენ უურადღებას, განსაკუთრებით ხმა. ერთი მათგანი აგონებს ახლათ მოსულ სამხედრო ხერებს გარნიზონის უსტავის 407 მუხლს საკომენდანტოში გამოცხადების შესახებ; მეორე უკრძალავს არა ფორმის ტანისამოსით სიარულს ქალაქში, რომელიც შესანიშნავი სიტყვებით ბოლოდება; ეა ის სიტყვებიც: **у кого нѣтъ форменной одежды, тому незачѣмъ ходить въ театръ или въ циркъ!** ამ განცხადებაზე ხელი უწერია ხარბინის გარნიზონის ნაჩალნიკს გ. დ. ნადაროვს. მესამე განცხადება შეეხება სასტუმრო-სასადილოებს. ზემოხსენებული გენერალი განაცხადებს, რომ ხარბინში მოსულ სამხედრო ხერებს შეუძლიათ ესადილონ ეს ჩამოხტნენ მხოლოთ სამ სასტუმროში, დანარჩენში აკრძალულია. იქნება გეკითხოს, რომ ეს სამი სასტუმრო სხვებზე უკეთესია? სრულიად არა, ბევრი სხვა უკეთესიც არი, მაშ რაა მიზეზი? არ ვიცი და არც ვინმემ იცის. ხერველი განცხადების შედეგია ის, რომ ხალათ მოსულმა ექვსი კანტელაკრია უნდა შემოიარონ: 1., კომენტანტის სამმართველო, სადაც მას დოკუმენტებზე ბეჭედს დააკრავენ; 2., შტაბი ზურგის ჯარისა, სადაც ხელს მოაწერენ. 3. სანიხვეტორო ნაწილი, სადაც ნაწვეტ ქალალდს მიტემენ; 4., აღმოსავლეთ-ციმბირის ბოლკების ეველა (რიცხვით—18-მდე) სათადარიგო ბატალიონების უფროსის შტაბი, სადაც კიდეკ ნაწვეტ ქალალდს მიცემენ და რომელიმე ბატალიონს მიაწერენ; 5., ამ ბატალიონის უფროსი, და 6. იმისი კანტელაკრია. შემდეგ გეღირსება ბარაკ-თავშესაფარში შესვლა, რომელიც წარმოადგენს გრძელ ეებერთელა კასარმას, უფენტილაციით, წუწეთით და წვიროთ სავსეს, სადაც 60—80 კაცი ათეკს დამეს. და ადვილი წარმოსადგენია, რა ჰაერი და ცხოვრება იქნება შიგ! ადსანიშნავია კიდეკ ის, რომ ეველა ამ კანტელაკრია—შტაბებზე ქალალდის გაკრული „არა გითარი ,,სპრავკა“ არ შეიძლებათ“—და შესვლა გარეშე ხერითათვის აკრძალულია. ასე სალუმლოებით მოცულია ეს აქაური ეველა დაწესებულება, და ამიტომ არავა განსაკვირველი, რომ ჩვენ არ ვიცით არაფერი, სად რა ხდება. საკვირველია კიდეკ ის, რომ აქაური ბატალიონების უფროსები თავისებურათ აკმაყოფილებენ ზრახვებს მამკვიდრებელ რუსეთიდან მოსულ ათიტრებს. აი მაგ. მე 5 საათიანი გარეთ ბატალიონის უფროსი არ აძლევს საათიანი გარეთ ჯარიდან მიწვეულ ოფიცრების დღიურ ხარჯის (ხორციის) მანჯურიაში 2 მან. დღეში, მანჯურიაში აქეთ 4 მ., რაც კანონით კრეკებს; მე-12 ბატალიონის უფროსი კი დღიურ ხარჯს გარეთ აძლევს ,,ხროგონს“ და ჯამაგირსაც. კაიკეთ ვინაა მართალი და ვინ მტეუანი. ჩანს დიდი ხროტექნიაა საჭირო, რომ რაც გეკუთვნის მაიღო. შეგ მებრძოლი ჯარში კიდეკ უარესია. ბ.ბ, უფროსები, როგორც ამბობენ, რომელთა გულის აზრუნით ომში მიმავალთა ბედ-იდბალზედ, დიდკაცები გაჰხდარან და ფეხებზე ჭკიდიან თქვენი გაჭირვების. მაგ. არგუტსკში ერთმა ჩემმა ნაცრობმა მთელი დღე ეძია კომენდანტი და ვერა ნახა,—სადაც საქეიფოთ წაბძანებულიეო.

—

ცხინვალი. დიდი ხანია მოველოდით შავი რაზმის მოსვლას. გავარდა ხმა, რომ შავი რაზმი უკვე დაარსო. დიდი მოთქმა-მოთქმა გაჩნდა გლეხებში. ეველა იმას ფიქრობდა თუ როგორ ურდა დახვედროდენ. გლეხები ფიქრობდენ: თუ კინიცობა რამე უწესოებას მოახდენენ, ისეთა ნუ დაუჯენთო. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ შავი რაზმი ოსების, სომხების და ქართველების წაკიდებას ცდილობსო. მაგრამ მე აქ არ გამოველაპარაკე თუ კინ რას ფიქრობს. მე მხოლოთ იმას ადგინუსხავ თუ რა მოიმოქმედეს.

20 მაისს ავნევის ახლოს იკრიფებოდა ათასებული გლეხობა 1000 კაცამდე შეიარაღებული თოხებით, კეტებით ხანჯლებით და სხვა იარაღებით. ვისაც რა ქონდათ. მიზეზი ამისა იყო თავდების შავი რაზმი, რომელიც მოსულიყო სოფ. დვანში. რაზმს უმიზეზოთ გზაზე შეეხვედრეებისათვის თოფები დაუშენია. შეეხვედრეები სოფელში გაიქცნენ და სოფლელებს შეატყობინეს, მაგრამ ამ დროს გლეხებმა კიაკეს, რომ რაზმი უკვე შემდეგ სოფელში გადავიდაო. გლეხები იქ ამბერებდენ გადასვლას და თავ დასხმას, მაგრამ შეჩერდენ. ამავე დღეს ერთი შავი რაზმის წევრი დაუარსა თავდენიშვილი რაზმს ჩამოშორებოდა, და გზაზე ერთ გლეხს შეეჩეხა, რომელსაც ურმით შეშა მიქონებოდა: თავადმა დანძდვა დაუწყო, როგორ თუ შენ ჩემდა დაუკითხავთ

ჩემს ტყეში შეშა მოსჭურიო. ცემას უპირებდა, მაგრამ ამ დროს წამოეწიენ ოსები და თავდს აირადი წაართვეს. მას შემდეგ შავი რაზმი (დურჯი ბაირაღით დაიარება ბაირაღზე აწერია: ,,სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი''. ,,გაუმარჯოს საქართველოს'') გაექანა თამარაშენისკენ, ნაწილი კი ქვემო ნიქოზელ თავადების მეთაურობით ჩავიდა ქვემო ნიქოზში. გზაზე მათ შეეხვნენ ამაყე სოფლის მდვდლის შვილი კანდარაძე (გემნაზიელი). თავ. დავით წერეთელმა უცბრივ შეახერა და შესძახა: ,,შენ, ეი უმწვილო! რატო ძალდობს თავს არ ანებებ? შენ არ იცი რა დღე მოგელისო?'' უმწვილმა თამამათ უპასუხა: რას უნდა დავანებო თავიო? ამ დროს თავადმა მათრახი მოიმარჯვა და ხუთჯერ გადჰკრა და თან ეუბნებოდა: შენ მაგ წითელ ქუდის და ქალამნების ტარებას თავი დანებე თორე... უფალი ამას უფურებდა ს. კეხვრის მსწავლებული ბაგრატ დაზარიაშვილი.

ბევრგან ეცადენ სამარცხვინო რაზმის წარმომადგენელნი სოფლებში ერიდობების შეურაც და თავისი „პროგრამის“ წაკითხვის. თუ რა პროგრამა აქვთ ამ თავად-აზნაურების შემრცხვენელთა, ამას შემდეგ გამოვეცხადებით რედაქციაში, დღეს კი ხელთ არა მაქვს. ის კი ვიცი, რომ პროგრამის ერთი მუხლი ამბობს: ,,ჩვენ უნდა დავიცვათ წოდება და მამულიო''. კერძოთ მოლაპარაკების დროს კი გლეხებს ეუბნებიან: ,,თქვენთვის არა გვშურს მამული, თქვენ მოგცემთ რამდენი გინდათ, მაგრამ როგორ არ გვეწყინოს, როცა თქვენს გარდა. ოსებიც და სომხებიც გვართმევენ. ისინი დიდი ხანია ჩვენი მტრებიაო; ახლა ჩვენ თავადები და გლეხები უნდა შევერთდეთ და ჩვენი საერთო მტრები სომხები და ოსები დავამარცხოთო, თუ არა და ჩვენ ცარიელები დავრჩებითო». ეი იმათი საქმე.

ნ. რ—შვილი.

—

ზუგდიდის მაზრა. (წალენჯიხის საბოქაულო).

5 მარტიდან დაიწყო გლეხთა მოძრაობა ამ საბოქაულოში. ყველა საზოგადოება ჩამოეხსნა მთავრობის დაწესებულებას, დაწვეს რამოდენიმე კანცელარიის საქმეები, შეუმცირეს მღვდლებს შემოსავალი, მემამულეებს ღალა. შეწყვიტეს სწავლა ყველა სამინისტრო სკოლებში. თხოულობდნენ ქართული ენის ხმარებას, რაზედაც მოწერილობა მიიღეს დაექირავებიათ ქართული ენის მასწავლებელი საზოგადოების ხარჯით, მაგრამ მოსწავლეები და მშობლები ამით არ კმაყოფილდებიან.

დ. მუხური. 25 მარტს, როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, დანიშნული ქონდათ სოფელ მუხურში ყოილობა მთელი საზოგადოებისა, რომელზედაც უნდა შეთანხმებულიყვენ გლეხები და თავად-აზნაურები. ხალხი ბლომათ გამოცხადდა; იყვენ აზნაურებიც, ხოლო თავად დადიანები, ამ საზოგადოების მცხოვრებნი არ მოვიდნენ, კაცი კი გამოგზავნეს დაგვიცადონ და მოვალთო. დიდხანს უცადეს, მაგრამ არ გამოცხადდენ, აზნაურებმა უიმათოთ მიიღეს ფიცი. როდესაც ხალხი იშლებოდა დაეცა ადგილობრივი ბოქაული მრავალი დარაჯებით. ხალხში ერია რამოდენიმე შეიარაღებული პირი, რომლებიც ჩაუსაფრდენ ბოქაულს და მის დარაჯებს და გაჩნდა სროლა ორივე მხრით. მოკლულ იქმნა ერთი დარაჯი ბოქაულისა (შეგრელია) და ერთი მოწინააღმდეგეთაგანი; ორიც დაიჭირეს, უცბათ იშოვნეს ურემი და მოკლული გაასვენეს. გაიყოლეს რამოდენიმე სოფლელი დარაჯი ბოქაულმა და იმისმა დარაჯებმა, რათა გზაზე უშიშრათ წასულიყვენ.

ეს უბედური შემთხვევა ხალხმა დადიანებს დააბრალა, რადგან არც ერთი იმათთაგანი კრებას არ დაესწრო. 28 მარტს, გვეახლა ზუგდიდის მაზრის თანაშემწე სოლოროვი, და გამოგვიცხადა მუხურის, ჭოლის და ჯგალის საზოგადოებას, რომ გასცენ დამნაშავენი, კანცელარიის საქმის დამწველნი და ბოქაულის მოწინააღმდეგენი, (25 მარტისა). წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი სასჯელი მოგელითო. დაბრუნდა. პირველ აპრილს ღამით თავის ეზოში მკვლელობა ჩაუდენ ნობ პირებისაგან თავადი პლატონ დადიანი. 4 აპრილს სოფ. მუხურში მოკლეს ვინმე ცირამუა. 8 აპრილს, მთავრობამ გამოგვიგზავნა ექსპედიცია. უწინ ის შემოვიდა სოფ. ჭოლაში, სადაც სავაჭრო დუქნებია. გვეახლა მაზრის უფროსი კელამოვი ცხენოსანი ყაზახებით, ოფიცრითა, ბოქაულით, დარაჯებით, მათი ოფიცრითა და მამასახლისის თანადასწრებით, ასე იქნებოდენ 120 ცხენოსანი. დაუწყეს მოვაჭრეებს „ობისკი“ (გაჩხრეკა) ტეხდენ ყაზახები დახლს, იტაცებდენ ფულს, მიქონდათ კალოშები, ყაბალახები და სხვ. ოქრო-ვერცხლეული რამე თუ იპოვეს ყველაფერი დაიტაცეს, პატრონი თუ რამეს იტყოდა, ცემდენ უმოწყალოთ; ერთი ღარიბი მოვაჭრის, შენგელიას დაკეტილ დუქნიდან (სხვაგან ყოფნის დროს) სულ წაიღეს ფართლის საქონელი. ცალიერი დუქანი დაუტოვეს საწყალს. ზარალი 700 მანემდეა. მასთან ერთ ზეინკალს, გვარათ გოგუას აღმოაჩნდა მრავალი კაჟიანი თოფები, ფილითები, რევოლვერები და დამბაჩები, რომელიც ზეინკალს შესაკეთებლათ აღებული ქონდა სოფლელთაგან. მაზრის უფროსმა ყველა იარაღები ჩამოართვა და დაიპატიმრა თვით ზეინკალი. სხვა დუქნებიდან წაღებულ საქონელს ყაზახები იყრიდენენ უბეში, ჯიბეში, ცისაც საათი უნახეს ააცალეს, ნაშუადღევს რომ მოვიდენ საღამოს დრომდის იქ დარჩენ, შემდეგ გაემართენ მოკლულ თავად დადიანის სახლში. იმ ღამეს გააკეთებინა მაზრის უფროსმა კუბო. მეორე დილას 9 აპრილს უფროსის ბრძანებით ყაზახებმა მოუყარეს თავი ყველა ხაბუმე და მუხურის მოვაჭრეებს და მრავალ ახლო-მახლო სოფლელებს, მოკლულ დადიანის სასახლეში. ბრძანა უფროსმა ყველას ეტირათ მიცვალებული ადგილობრივ ჩვეულებისამებრ. შემდეგ 11-დან 12 საათზე გაასვენეს მოკლული ეკლესიაში, სადაც მიყვებოდა მაზრის უფროსი თავის ჯარით, ხოლო ხალხს უბრძანა: ქალებს ეკივლათ, კაცებს ეტირათ მაღალი ხმით (ვაი). ასე დასრულდა დასაფლავება. ხალხი დაიშალა, საიდანაც მაზრის უფროსი თავის ჯარით გაემართა დაბა მუხურში.

10 აპრილს შუადღის ორს ან სამს საათზე შემოვიდა დაბა მუხურში მაზრის უფროსი თავის ჯარით, აქ დახვდენ კიდე ქვეითა ყაზახები პლასტუნები, იმ დღესვე მოსულნი. დაუკრეს ზარი და მიყვენ დუქნების ტეხა-გლეჯას, მიქონდათ ფართლეული, შალეული, აბრეშუმეული, იაშჩიკი, შაქარი, პურის ფქვილი, სიმიდი, უნაგრის საქონლები, თუთუნები, ჩაი, პაპიროსები წუღები, შეკერილი ტანისამოსები, ჩოხები, ახალუხები. ერთ მეუნაგირე გვახარიას სულ გაუცალეს დუქანი, წაართვეს რაც ჰქონდა, ზარალი აქვს 800 მანეთამდე. მეორე მოვაჭრე ბერულავას წაართვეს ათას-ორასი მანეთის ვექსილი დახლიდან; შემდეგ ოფიცერმა მიიღო ზომები რომ მოეძებნა, მაგრამ დაეწვათ. ცემდნენ ყველას უმოწყალოთ თუ რამეს ვინმე იტყოდა. იტვირთებოდნენ ყაზახები წანართმევი საქონლით და მიჰქონდათ. როცა დუქნებში მორჩნენ. გადვიდენ სოფლებში, გატეხეს ორი მოსახლე თოლორდავები, რომლებსაც ჰქონდათ, ბოროტ განძრახვაზე მოსაწონი ნივთები წამოიღეს, ძვირფასი აბრეშუმის საბნები, გახიეს ლეიბები და ბალიშები და წაიღეს ჩითები. მოკრიბეს ყველა იარაღები, აგრეთვე შევარდნენ მარნებში, მოხადეს ჭურები, სვამდენ უზომოთ ღვინოს. უკეთუ დაინახავდნენ ჭურჭლებს, კოკებს, დოქებს და გუდებს ავსებდნენ ღვინით და მიჰქონდათ ბინაზე. დანარჩენ ღვინიან ჭურჭლებში მიწას ყრიდნენ, აფუჭებდნენ.

პატარა სოფელ ოცინდალე. დაბა მუხურიდან 2 ვერსტია. ალმართი ასავალია, მთა გორიანი, სადაც არსებობს ძველი ქვის ეკლესია. მცხოვრები 25 კომლამდისა, გვარათ თოდუები და აფშილავები. აი ამ სოფელში ბზობა დღეს, დილით გათენებისას გაჩნდა ორი აფიცერი თავის კაზაკებით 70-დე. ჯერ ადამიანები გამოღვიძებულნი არ იყვნენ—იალონზე ისროლეს თოფი, იწყო გათენება თუ არა შევარდნენ სახლებში კაზაკები, ცემეს უზომოთ მამაკაცებს, სახლის პატრონებს, ნაცემ დასისხლიანებულს, კაცებს შეკრავდნენ და გარეთ მინდორზე ერთ ალაგას მოუყარეს თავი ყველას, ხოლო მათი ოჯახობა გადაეცა კაზაკების უფლებაში, კარები ჩაკეტეს, ქალებს მიაყენეს შეურაცყოფა, გაიტაცეს მოსაწონი ნივთეულობა: ტანისამოსები ქაღის და კაცების, ოქრო ვერცხლის სარტყლები, კოვზები, სტაქნები და სხვ. აგრეთვე ზეწრები და სალფეტკები და წირვის დაწყებამდე გამობრუნდენ უკან დატვირთულნი, თუმცა არავინ დამნაშავე პირი იქ არ აღმოჩენილა.

მაზრის უფროსმა მერე წინადადება მისცა ხალხს, რომ კანცელარია მოაწყონ, საქმის წარმოება დაიწყონ; მასთან გამოუცხადა: ბოროტ პირების კაზაკები და პლოსტუნები აქ დარჩებიან, ერთი თვის ხარჯი უნდა წარმოადგინოთ 558 მ. ხვალ დილას და კაზაკებს არ ექნებათ ნება, რომ რამე წაგართვანონ. პლასტუნები ერთი აფიცრით დააბინავეს ორკლასიან სამინისტრო სკოლაში. დანარჩენი ცხენოსნები 60-დე ჩადგნენ ორი მოსახლე ცინდავების სახლში. ამით ჩაკრეს ერთობის ხმაურობა. მას აქეთ არ ისმის ერთობის არაფერი. 11 აპრილს ბზობის მეორე დღეს დილით ჩააბარეს კაზაკებს ერთი თვის ხარჯი. და ჯარი მუხურში დატოვეს; თვით უფროსი რამოდენიმე კაზაკის ხლებით მეზობელ საზოგადოება ჯგალში გადავიდა.

ს. ჯგალი. 11 აპრილს მაზრის უფროსის ბრძანებით შეიკრიბა მრავალი ხალხი სასამართლო კანცელარიაში, დიდი წვიმიანი დღე იყო და სამ ვერსტზე მიეგებენ უფროსს საზოგადოების მიერ არჩეულნი პირნი 40-დე კაცი ფეხით. უფროსმა ხალხს გამოუცხადა კანცელარიის განახლება და მოწყობა, ყოველივე გადასახადი გადახდა (საქმის წარმოება თვეზე მეტს იყო შეჩერებული).

მუხური. 9 მაისს თავი მოიყარა საზოგადოებამ, ადგილობრივ მამასახლისის განკარგულებით, ეს ყრილობა დაიბარა ჯარის უფროსმა და გამოუცხადა: დღეს გათავდა ერთი თვე, და ხვალ საღამოს წარმომიდგინეთ მეორე თვის ხარჯი 558 მ., რომელიც უკვე ჩააბარეს. აწი ყოველ სოფლებში ზუგდიდის მაზრაში კაზაკებს მოელიან.

შინაური მიმოხილვა

ამ უკანასკნელ დროს ბევრმა დუხჭირმა გარემოებამ იჩინა თავი, ბევრმა მავნე ელემენტებმა წამოყეყეს თავი. ამათში პირველი ალაგი უეჭველათ თავად-აზნაურთა ეგრეთ წოდებულ «დრუჟინას» უჭირავს, პრესაში უკვე საკმარისათ გამოირკვა, თუ რა ბნელ ძალას ინახავს თავის გულში ჩვენი თავად-აზნაურობა, რომ თავად-აზნაურების წინამძღოლების და ხელმძღვანელების ნებართვა არ ყოფილიყო, ისე შეუძლებელი იქნებოდა ამ სამარცხვინო დრუჟინის გამოსვლა ჩვენი დაბეჩავებულ ცხოვრების ასპარეზზე. ხუმრობა ხომ არ არის, 500—700 კაცის ამხედრება, შეიარაღება და სოფელ-სოფელ ხეტიალი! სად იყვენ ის ჰკუადახედულ თავად-აზნაურნი, როცა ამ გვარს აქმეს აწყობდენ და ჩვენში იმისათვის ემზადებოდენ! სად არიან ისინი დღეს, როცა «დრუჟინა» თავის სამარცხვინო და საარაკო მოქმედებას არხეინათ განაგრძობს? მაგრამ რას ვამბობ! მთელი ეს საქმე მოუწყვიათ ისეთ პირებს, რომელნიც თავად-აზნაურობის საქმეს მეთაურობენ და განაგებენ, «დრუჟინაში» მილიციონერათ ეწერებიან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული პირები. აი სადამდის მიუღწევია ქართველ თავად-აზნაურობას: მის წევრებს სამარცხვინოთ არ მიაჩნიათ ბნელ რაზმში, ხულიგანების ბრბოში, მონაწილეობის მიღება. აი სადამდის დაწვრილმანდა და სადამდის დაეცა ოდესლაც ბრწყინვალე, რაინდობით განთქმული წოდება! ჩვენ მაინც კიდეც გვგონია, ოომ თავად-აზნაურობა ისე არ უნდა დაეცეს, რომ მან შავი რაზმის გარდა ვეღარსად პოვოს სამოქმედო ასპარეზი. მაგრამ ერთი ახირებული ამბავი აქაც გამოაშკარავდა. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ დიდი ხანია ხმა დადიოდა, «დრუჟინის» ორგანიზაციაში ბ-ნი ალ. ყიფშიძეც იღებს მონაწილეობასო. ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა, რომ ბ-ნ ყიფშიძეს შეეძლო ხულიგანების ბრბოში რაიმე მონაწილეობის მიღება. დიდი ხნის შემდეგ ბ-ნ ყიფშიძემ წერილი მოგვათავსა გაზ. «ივერიაში», რომელშიაც იგი უარს ამბობს, რომ მას «დრუჟინაში» არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ მის წერილში უფრო შესანიშნავი აღგილია, სახელდობ ის, საცა იგი გვეუბნება, რომ «დრუჟინის», წესდება მას ფრიად სიმპატიურათ და საკეთილოთ მოჩვენებია! შემდეგ განაგრძობს ბ-ნი ყიფშიძე, რომ თავად-აზნაურთა რაზმის გაჩენის მიზეზი ისაა, რომ თავი დაიცვან მავნე და ბოროტ კაცებისაგანო. ავტორს არც ეს აზრი **ჩვენებია ქვეყნის დასაღუპავათ**". „ხოლო სხვა ხილია აზრს როგორ განახორციელებენ, მავნე და ბოროტ კაცათ ვის აღიარებენ (ნუ თუ ეს თქვენთვის აქამდის საიდუმლოებას შეიდგენს, ბ-ნო ყიფშიძე!) **ამას მომავალი და საქმე გამოაჩენს**. და თქვენსა და საზოგადოების ნებაზეა დამოკიდებული, რა თვალით ვუყუროთ რაზმის საქციელსო". როგორც ხედავთ ბ-ნ ყიფშიძის სრული სისპატია რაზმისკენ არის, და თუმცა იგი რაზმში მონაწილეობის მიღებას თავის მხრით უარ ყოფს, მაგრამ ეს საქმეს არსებით არა ცვლის. მისი აზრით რაზმი „ფრიად სიმპატიური და საკეთილო დაწესებულებაა; მავნე და ბოროტ კაცებისაგან თავის დაცვაც ქვეყნის დაღუპვა არ არის, მხოლოთ საქმე ის არის, ვის გამოაცხადებს რაზმი მავნე და ბოროტ კაცათ და როგორ ესმის მას თავის დაცვა. რადგანაც პრესაში საკმარისათ გამოირკვა ეს საკითხი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ბ-ნი ყიფშიძე თანაუგრძნობს ყველა ამ ძალმომრეობას და სისაძაგლეს, რასაც თავად-აზნაურთა „დრუჟინა" დღემდის ჩადიოდა. ამაში ჩვენ მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ბ-ნი ყიფშიძე გვეუბნება: „მომავალი და საქმე დაგვანახებსო", თუ რა სწადია რაზმსო და როგორ ესმის მას თავის დაცვა. თითქო დღემდის კი ეს არ გამოეღავნებულიყოს! მაგრამ კმარა. ესეც ერთი თანამგრძნობი შავი რაზმისა! სხვები კი ჯერ გაჩუმებულ არიან.

თითო შავ რაზმს დღეს ყოველგან შეხვდებით, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მისი მოქმედების ასპარეზი სხვა და სხვა ნაირია, და იარაღიც სხვა და სხვა გვარი აქვთ. შავი რაზმი მოქმედებს დღეს ქალაქის ქუჩებში, მოქმედებს იგი, როგორც დავინახეთ, სოფლებშიაც. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ შავი რაზმი მარტო ქუჩებში და სოფელ-სოფელ დაძრწოდენ და თარეშობდენ. შავი რაზმის წარმომადგენელები სახელ განთქმულ ბიუროკრატიულ დაწესებულებაშიაც ბუდობენ. ჯერ ბიუროკრატია რა არის ხალხისთვის და მერე მაში დაბანაკებული შავი რაზმი რაღა უნდა იყოს! ამ შავი რაზმის წარმომადგენელები შეიარაღებული არიან არა თოფ-ხარბაზნებით და ხმალ-ხანჯლით, არამედ რაღაც წერილობითი საბუთებით,

სტატისტიკური ცნობებით, რომლებიც სინამდვილესაგან ისე არიან დაშორებული, როგორც ცა დედამიწისაგან. და აი ასეთი საბუთებით და „ცნობებით“ შეიარაღებული, ისინი წყვეტენ ხალხის ბედს, აკანონებენ ასეთ ყალბს საფუძველზე დამყარებულ მოსაზრებათ და შემდეგ იმათ ხალხს თავზე აჩეჩებენ. ამას წინეთ ადგილობრივ იურიდიულ საზოგადოებაში ვექილმა გრუზენბერგმა რეფერატი წაიკითხა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თაობაზე ამიერ-კავკასიაში. ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ის, თუ რით ასაბუთებდა ბ. გრუზენბერგი ამ დაწესებულების შემოღებას ჩვენში. ვიტყვით მხოლოთ, რომ დღეს, როცა ხალხის წარმომადგენლობაზე, დამფუძნებელ კრებაზე და სხვ. ამისთანებზეა კითხვა დაყენებული, როცა ხალხი გადაჭრით თხოულობს მონაწილეობის მიღებას ქვეყნის საქმეების მართვა გამგეობაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება შედარებით მეტათ მცირე შემთხვევაა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ შავი რაზმის წარმომადგენლებმა ასეთ დროს ესეც კი იუცხოვეს და ამ დაწესებულების შემოღების წინააღმდეგაც კი გაილაშქრეს. საზოგადოებაში აღმოჩნდა სხვათა შორის ვინმე ჩინოვნიკი კოლიდევსკი, რომელიც მეტისმეტი გაფთრებით ამხედრდა ნაფიც მსაჯულთა შემოღების წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ხალხი არ არის მომზადებული, რომ მას მიენიჭოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომ ამ ხალხისთვის ჯერ საჭიროა ბიუროკრატიის მუხრუჭი, თორემ იგი თავს აიშვერს და საზოგადოება განსაცდელში ჩავარდებაო. ეს ღირსეული ჩინოვნიკი თავის აზრის დასამტკიცებლათ ამოწმებდა სხვათა შორის, ისეთ პირებს, რომლებიც ამ ორმოცი წლის წინეთ ცხოვრობდენ, და რომლებიც მაშინდელ პირობებსაც ვერ იცნობდენ. თუ რამდენათ სარწმუნოა ასეთი პირების მოწმობა, ეს ყველასათვის აშკარაა; მაგრამ ჩინოვნიკური მსჯელობისათვის ეს საკმარისია. აბა ახლა ერთი ხალხს კითხონ, არის თუ არა იგი მოზადებული, რომ თავის თავს თითონ მოუაროს. ჩინოვნიკებს ხალხი ჯერ უწლოვანი გონია და ფიქრობს მისი მოვლა ბიუროკრატიას უნდა ქონდეს ჩაბარებულიო. მაგრამ ეს დრო სამუდამოთ გაქრა. ბიუროკრატია, რაც უნდა ეცადოს, ვეღარ დაიბრუნებს იმას, რაც წინეთ მის ხელში იყო. დროა გაიგონ, რომ ხალხი თითონ დაეპატრონება თავის თავს და მაშინ მშვიდობით, ბიუროკრატია სამუდამოთ დაიმარხება. შეიძლება დღეს მარტო ბიუროკრატიისათვის იყოს საიდუმლო, რომ ჩვენმა ხალხმა ნაფიც მსაჯულთა დედააზრის განხორციელების ცხოვრებაში უკვე დადგა, და დიდი ხანი არ გავა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ისე, როგორც მთელი მისი ცხოვრების განახლება დემოკრატიულ ნიადაგზე, საესებით განხორციელდება.

—

ეს მიმოხილვა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებების დახასიათებით მოითხოვდა დამემთავრებია. კი ხანია ემზადებოდა ხსენებული სამღვდელოება კრების მოხდენას. დღევანდელმა ცხოვრებამ მასაც ულმობელი კითხვები დაუყენა წინ გადასაწყვეტათ: საქმე მის არსებობაზე მივიდა, და როგორც მოგეხსენებათ, ძნელია, როცა კაცი თავის აღსასრულის მოახლოებას გრძნობს. სათანადო მთავრობამ, როგორც იქნა, ნება დართო კრების მოხდენაზე. მღვდლები შეიკრიბენ სემინარიის შენობაში, რამდენიმე სხდომა გამართეს კიდეც, მაგრამ ამას აღარ შევეხებით, რადგანაც ეს ჩვენთვის შეუძლებელიც არის ყველასგან კარგათ ცნობილ მიზეზების გამო; ვიტყვი მხოლოთ, მღვდლების უკანასკნელი სხდომა რაღაც არა ჩვეულებრივი ყოფილა. სხდომაზე პოლიციელებს რამდენიმე კაცი შეუპყრიათ! სემინარიიდან გამოსვლის დროს, კრების დახურვის შემდეგ, სალამოს 9—11 საათზე, სემინარიის წინ, რაღაც ჩახა-ჩუხი, მათრახების ლაწუნი, უწმაწური ლანძღვა-გინება გაისმოდა და მღვდლების ანაფორები დაგლეჯილი ეგინებოდა. ეს იყო თურმე საზარელი სცენა ბნელ ღამეში, რაღაც შავი არსებანი მიწაზე ეცემოდენ, დგებოდენ და სადღაც გარბოდენ. ყველაფერი ეს საიდუმლოებით არის მოცული, და ჯერ არავინ იცის, რა იყო, რა მოხდი. როგორც გაზეთებში გამოცხადებულიიყო, მეორე დღეს სამღვდელოების უმრავლესობა თფილისიდან გაქცეულა, დანარჩენი ნაწილი წარსდგომია კავკასიის ნამესტნიკს და პეტერბურგშიაც გაუგზავნიათ რაიმე ცნობა თავიანთ უბედურ შემთხვევის გამო.

რუსეთის ქრონიკა

კაზ. «სამარკანდში» დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ: „მოწყ. ხელმწ. ბატონო რედაქტორო! ბაქოს ყოფილმა ქალაქის თავმა, ს. ი. ნოვიკოვმა გამოგზავნა პეტერბურგიდან ბაქოში წერილი, რომელსაც ავრცელებენ ბაქოს მცხოვრებთა შორის. ეს წერილი თქვენ ბატივცემულ გაზეთშიაც დაიბეჭდა, და შემდეგ სხვა გაზეთებშიც გადაბეჭდეს. წერილში ასწერს იგი ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის უმოქმედობას და განზრახულ დაუდევრობას ბაქოში მომხდარ ყულეტის დროს და ათავებს თავის მხილებას შემდეგი სიტყვებით: ნაკაშიძის თანამოაზრეებს ბაქოს და ბაქოსთან ბოდიტმესტრებს, დუმინსკის და ხოდიტკის და ბრისტავს ბორდანს შერცხვათ თავისი უმოქმედობის და სამსახურს თავი დანებებია. ჩემის აზრით, ბ-ნმა ნოვიკოვმა არ იცოდა მიზეზი ჩემი სამსახურის თავის დანებებისა და ფიქრობდა, რომ მე ჩემი ნებით მიკეტოვე თანამდებობა. ამიტომ უნებლიეთ ცდა დამწყო მე, და ნაკაშიძის თანამოაზრე მიწოდა. ეს მე შეურაცხყოფა მომხდა და უმორჩილესათ კთხოვ, ბატონო რედაქტორო, უმახლობელეს ნომერში მოათავსოთ ჩემი ჩვენება, რომელიც მე ბრაუერთან წინაშე ვალიარე კამიტეტის დროს, და რომელსაც ამ წერილთან ერთათ გაგზავნი. გარდა ამისა კანონიერ თქვენ, რომ ჩემი მოქმედება, ზემოხსენებულ ჩვენებაში აღწერილი, იცის მრავალმა პირმა, რომელთაც თავისი თვალით დაინახეს ყველაფერი და, თუ საჭირო იქნება დასმოწმებენ კიდეც ჩემ სიტყვებს. სწორეთ ასეთი ჩვენების მიცემისათვის დამითხოვა მე გუბერნატორმა სამსახურიდან, ვითომდაც ჩემი ნებით, ავადმყოფობის გამო.

ამ უკანასკნელმა კარეშოებამ შეაეჭვა შეცდომაში ბ-ნი ნოვიკოვი და ამიტომ, მე ამიდი მაქ, რომ ამ წერილის და ჩემი ჩვენების გამოქვეყნებით თქვენი ბატივცემული გაზეთის ფურცლებზე, შევძლებ დავარწმუნო ბ-ნი ნოვიკოვი და სხვებიც, რომ ის ჩარჩა, რომელიც მე მომეცხო—სრულიად უსამართლო იყო, რადგან გუბერნატორ ნაკაშიძესთან სიმდაბლობა მე არ მქონია. ოტსტავნ. ნაღვ. სოველტ. **პ.ბოროდინი.**—ბ-ნ ბოროდინის მიერ წარდგენილი ჩვენება სანქტპეტერბურგის წესდების მე-81 მუხლის ძალით „სამარკანდის“ რედაქციას ვერ გამოუქვეყნებია.

— კვირას, 22 მარტს, პავლოვის ვოკზალზე, სადაც ჩვეულებრივათ სიმფონიური ორკესტრი უკრავს, დიდ-ძალმა ხალხმა შეიყარა თავი, დასხდომებით 3,000 კაცმა. უმეტესობა ინტელიგენტები იყვენ. დაიწყო თუ არა დაკვრა ორკესტრმა, ვიღაც უცნობმა ხმირმა მიმართა ხალხს სიტყვით. მან თქვა, რომ ახლა, როდესაც ჩვენი ძმები იღუპებიან და რუსეთი სისხლისაგან იცლება, არ არის დრო მუსიკით გსტკებოდეთო. ხალხი გულ დასმით უსმენდა ორატორს. გაისმა ყვირილი „ძირს ომი“. ორკესტრი ძალაუნებურათ გაჩერდა და სხვა ადგილს გადავიდა, მაგრამ იქაც არ დაანებეს დაკვრა და კიდევ ჩაჩუმეს მუსიკა. მოვიდა ეგრეთ წოდებული

„შავი რაზმი“, რომელსაც დემონსტრანტების დაშლა უნდოდა, ვიდრე ინჟენერმა მხურვალე სიტყვით მიმართა მათ: „შავმა რაზმმა“ გულმოდგინეთ მოისმინა სიტყვა და ჩუმად, ხმა ამოუღებლივ დაიშალა. მოვიდა პოლიცია და ურჩია ხალხს დაშლილიყვნენ. ხალხმა ეს წინადადება არ მიიღო. გამოიწვიეს მსროლელთა რაზმი. რაზმი ჩამწკრივდა, მარა არაფერი დონის ძიება არ უხმარია. დაიწერეს რამოდენიმე კაცი, სხვათა შორის ა. ი. ნოვიკოვი.

(«რ. ვ.»).

—

— გაზ. «მოსკოვსკაია ნედელია»-ს მეორე ნომერიც დაუწერია ცენზორს ისე, როგორც პირველი.

— როგორც ისმის შინაგან საქმეთა მინისტრი ბულიგინი სამსახურს თავს ანებებს.

— პეტერბურგის ქალაქის საბჭომ 23 მაისს სხდომაზე გადასწყვიტა შუამდგომლობა შეიტანოს მინისტრთა საბჭოში, რათა დაუყონებლივ მოიწვიონ ხალხის წარმომადგენლები.

— ინჟენერთა კავშირის წევრებმა 20 მაისს განცხადება გაუგზავნეს შინაგან საქმეთა მინისტრს შესახებ 8 ინჟენერის გაჩხრეკისა. განცხადებაზე 20 კაცს აქვს ხელი მოწერილი. ხელის მოწერას განაგრძობენ.

— 23 მაისს შესდგა ჟურნალისტების საზოგადო კრება. კრებამ დიდი ხნის კამათის შემდეგ დაადგინა: ომის დაუყონებლივ შეწყვეტა, ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და დაუყონებლივ მოწვევა ხალხის წარმომადგენლებისა. შემდეგ კრება ამ აზრს დაადგა, რომ საჭიროა ასოთა-ამწყობებთან შეერთება, რათა განახორციელონ უქმე დღეებზე დასვენება.

— „კავშირთა კავშირში“ ამ ჟამად შემდეგი კავშირები იღებენ მონაწილეობას: 1) რკინის გზის, 2) ექიმთა, 3) სავრობო კონსტიტუციონალისტებისა, 4) ქალთა თანასწორობისა, 5) ინჟენრებისა, 6) აკადემიური, 7) ვექილებისა, 8) კონტორშჩიკებისა, 9) სახალხო სკოლების მასწავლებლებისა, 10) საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა, 11) ფარმაცევტებისა, 12) ებრაელთა, 13) ჟურნალისტების, 14) აგრონომების და სტატისტიკოსებისა და 15) ბეითლებისა.

— მინისტრების პირველსხდომა ბულიგინის პროექტის განსახილველად მოხდება 10 ივნისამდე. სხდომის თავმჯდომარეთ იქნება მეფე ან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—გრაფ სოლსკი.

პროექტის განსახილავად მინისტრთა საბჭოს წევრებთ დანიშნული არიან: დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის-ძე, განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი ფრიში, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე—ვიტტე, სამხედრო, იუსტიციის, განათლების და კარის მინისტრები, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი, სახელმწიფო სეკრეტარი აქსაკოვი ფონ-გოლდენბლატი, სახელმწიფო კონტროლერი დობრო და მინისტრთა კომიტეტის საქმეების მმართველი ნოლდე.

— ნოემბერკასში სამხედრო ბალატამ გაარჩია სამე რასტოველი ჟურნალისტის ვორობიევისა, რომელსაც ბრალდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების შედგენა. ვორობიოვს უარი არ უთქვამს მოწოდების შედგენაზე. ბალატამ გაამართლა ბრალდებული, რომელსაც ხარკოველი ნაფიცი გუქილი—ალექსანდროვი იცავდა.

— ამ ბოლო დროს რუსეთმა განაახლა პარიჟის ბანკებთან მოლაპარაკება შესახებ სესხისა, რომელიც, ამას წინეთ არ მოხერხდა. ის იყო, საქმე კარგათ უნდა დაბოლოებულიყო, რომ ცუსიმის ბრძოლის რუსეთის მთელი ფლოტი არ გაენადგურებია. მოლაპარაკება მაშინვე შეწყდა, რადგან მეკობრეთა ფრანგებმა უარი განაცხადეს სესხის გაცემაზე. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც ამ აზრისაა, რომ ახლანდელ პირობებში რუსეთისათვის ფულის სესხება საგიჟეს ნაბიჯად. სულ სხვა, თუ რომ ცარიზმი დაემხობა. მაშინ სესხი დაუყონებლივ მიეცემა რუსეთსა.

—

ქ. რიგის ერთ-ერთ თუჯის ზავოდში პოლიციამ აღმოაჩინა მთელი ქარხანა ასაფეთქებელ ყუმბარებისა; დაიჭირეს რამდენიმე კაცი, რომელნიც ეკუთვნიან ადგილობრივ სოციალ-დემოკრატების „მებრძოლ ორგანიზაციას“. შეპყრობის დროს ზოგიერთმა დაპერილთაგანმა იარაღით წინააღმდეგობა გასწიეს. მოკვლით არავინ მოუკლავთ. ფიქრობენ, რომ რიგაში კიდევ უნდა იყოს ადგილები, სადაც ყუმბარებს ამზადებენ. გარდა ყუმბარებისა იპოვეს სხვა-და-სხვა ყალიბის რევოლვერები, ფინური დანები და სხვა იარაღი.

რიგაშივე აღმოაჩინეს ცოტა ხნის შემდეგ საიდუმლო სტამბა.

— მკითხველებმა, ალბათ, იციან, რომ პეტერბურგში დაარსდა ეგრეთ წოდებული „პატრიოტული ლიგა,“ რომელსაც აზრათ აქვს ყოველი ღონისძიება იხმაროს დღევანდელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ლიგის განყოფილება არსებობს მოსკოვში. ამას წინათ მოსკოველ „პატრიოტებს“ ვრცელი წერილი წარუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროში. „პატრიოტები“ იმ აზრს ადგანან, რომ დღევანდელ მოძრაობის ჩასაცხრობათ მთავრობამ რაც შეიძლება სასტიკი ზომები უნდა იხმაროს „ქრამოლნიკების“ წინააღმდეგ, გაასამართლონ სამხედრო წესებით იგინი. «პატრიოტების» წერილი თავდება ვეებერთელა სიით, რომელშიც ჩამოთვლილია 3000 „ქრამოლნიკის“ სახელი და გვარი.

ასეთ სანაქებო „ლიგაში“ მრავალი გავლენიანი და ბანოვანი პირები ირიცხებიან თურმე წევრებათ.

— საზღვარ გარეთის ბირჟა თურმე უფრო მცოდნე ყოფილა ჩვენი შინაური საქმეებისა, ვინემ ზოგიერთი უცნობი პირი, რომელთაც კარგა დიდი გავლენა აქვთ რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე. მოხდებ თუ არა რუსეთში ისეთი რამე, რაც რეფორმების იმედს იძლევა, მაშინვე აიწევს ხოლმე საზღვარ გარეთის ბირჟა; პირიქით, რეაქცია და რეფორმების სამერმისოთ გადადება შესამჩნევათ აღონებს ჩვენს მოვალეებს. ეს შევნიერათ გამოირკვა, როცა ტრეპოვს ახალი თანამდებობა დაუნიშნეს რუსეთში. მთავრობის ასეთმა საქციელმა ბევრათ უფრო დასწია საზღვარ გარეთის ბირჟა, ვინემ ბალტიის ესკადრის დალუპვამ. როდესაც უცხოელებმა დაახლოვებით გაიცნეს ჩვენი შინაური საქმეები და დაინახეს, რომ რუსეთის გამარჯვება სრულიად უსაფუძვლო ოცნებაა, რადგანაც გახრწნილი და უკვე დამარცხებული სახელმწიფო ვერავითარ ძალას ვერ შეჰმნის მტერთან საბრძოლველათ, თითქოს გამოფხიზლდენ და თვალები დაახილეს. უცხოელებმა თავი დაანებეს უფლებით აღჭურვილთა თაყვანის ცემას. ბიუროკრატია და ხალხი. ერთმანეთს დაუმორეს.

უცხოეთი.

საფრანგეთი. (რვა საათის სამუშაო დღე).

ამ ჟამათ საფრანგეთში გაფაციცებული აგიტაცია სწარმოებს 8 საათის სამუშაო დღის მოპოვებისათვის. მეტათ საინტერესოა ეს აგიტაცია, რადგან იგი სრულებით თავისებურია და არა გავს ჩვეულებრივ აგიტაციებს. ჯერ ერთი რომ 8 საათის სამუშაო დღის დასამყარებლათ მუშები გაფიცვებს და მეწარმეებთან შეთანხმებას როდი მიმართავენ: საფრანგეთის მუშათა სინდიკატებს გადაუწყვეტიათ აგიტაციის საშვალებით მოამზადონ საფრანგეთის პროლეტარიატი, რათა უკანასკნელმა

ძალით, თავის ნებით გაიტანოს „8 საათის“ დამყარების საქმე: დანიშნულ დღიდან ყველა მუშა მიატოვებს ქარხანას თუ ზავდს 8 საათის მუშაობის შემდეგ და არამც და არამც არ იმუშავებს მეტს. მერე როგორს, რა სახის აგიტაციას მიმართა საფრანგეთის მუშათა სინდიკატებმა ამ მიზნის გასახორციელებლათ?

პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიაში პირველი არ არის ასე ძალათ თავისი მოთხოვნის გაყვანა. სწორეთ ამ ნაირიე წესით დაიმყარეს 8 საათის სამუშაო დღე ამერიკელმა მუშებმა 1886 წ. ამისათვის საჭირო აგიტაცია იქ 1883 წ. დაიწყო. ეს აგიტაცია მდგომარეობდა იმაში, რომ ყველგან სადაც კი მუშა მისწვდებოდა: რკინის გზებზე, კაფეებში თეატრებში, წიგნებში, რომელთაც მუშები ყიდულობდენ მოთავსებული იყო სხვადა სხვა ფერების განცხადებები, რომლებიც შეიცავდენ მოკლე-მოკლე ფორმულებს. ეს ფორმულები მოაგონებდენ მუშებს, რომ მათ დანიშნულ დღიდან 8 საათზე მეტი არ უნდა ემუშავნათ და უხსნიდენ 8 საათის სამუშაო დღის მნიშვნელობას. სწორეთ ამ ნაირი აგიტაციისათვის მიუმართავს დღეს საფრანგეთის კონფედერაციას. ყველა კორპორატიულ გაზეთებში დაინახავთ ახლა სტატიებს შორის ჩამატებულ განცხადებებს და მოწოდებებს, რომელნიც მოკლეთ მკაფიოთ და მძლავრათ გამოხატავენ 8 საათის სამუშაო დღის სარგებლობას. მაღაზიებში, ტრამვაის ვაგონებზე, სახლების კედლებზე, მატარებლების ვაგონებში გაკრულია აფიშები, რომლებზედაც თავისებური წარწერები იპყრობს ყურადღებას:

— 8 საათის მუშაობა—მეტ დასვენებას და მეტ ჯანმრთელობას ნიშნავს.

— 8 საათზე მეტი მუშაობა—ეს შენი სამუშაო ქირის შემცირებას ნიშნავს? და სხვ.

ძველი ხელ-ნაწერი პამპულების შესახებ.

ციხე ფრიალო 21 მაისი 1905 წლისა ქრის. დაბადებიდან.

უქვეშევრდომილესათ მოვახსენებ თქვენს უპამპულოესობას, რომ ერთი ჩვენი მზვერავ რაზმთაგანი შევიდა სოფელ ქვემო ფრიალოში. ხალხი აღტაცებითა და „ჟეშტის“ ძახილით მიეგება. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. მილიციონერმა პამპულმათრახაძემ შენიშნა ერთი წითელ ქუდიანი მტრის „ჯაშუში“ და ხელში ჩაიგდო ის. გამოძიების შემდეგ ტუსაღი გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდა აღმოჩნდა. წითელი ქუდის ტარებისათვის „სამხედრო სამართლით“ ხუთი მათრახი გადაუწყვიტეს, რაც იმავ მილიციონერმა მათრახაძემ ჩინებულათ შეასრულა. მოვაქციე რა ფერხთა ქვეშე თქვენსა დამცირებულსა გრძნობასა ჩემსა, უქვეშევრდომილესათ მოგახსენებთ ყოველივე ზემო აღნიშნულს და ვკადნიერდები გთხოვო განსაკუთრებული მოწყალება სახელოვანი მილიციონერის პამპულ მათრახაძისათვის. რაზმის უფროსი **ტირძნელი.**

«სიამოვნებით წავიკითხე».

მთავარ-სარდალი **ვეშაპაძე.**

—

სოფ. ლულა. პამპულათა სადგომი.

დრუჟინის კომიტეტს 17 მაისს მოუყვანეს ორი მტრის მზვერავი, რომელნიც ხელში ჩაუვარდენ ჩასაფრებულ პამპულ—მილიციონერებს ესაული კატიშვილის მეთაურობით.

ურმის გაჩხრეკის დროს, ტყვეებს არავითარი სურსათი არ აღმოაჩნდათ, რამაც ძლიერ დააღონა მილიციონერები. რაზმის უფროსმა ვეშაპაძემ თითონ ჩამოართვა ჩვენება. მზვერავებს თავი მაგრა ეჭირათ, რამაც ძლიერ აიღელვა პამპულების უმრავლესობა. განსაკუთრებულ სიფიცხეს სარდლის თანაშემწე პამპული ტირძნელი იჩენდა. ვითარცა სვავი გაუმაძღარი, იგი სისხლს მოითხოვდა. მთავარ სარდალმა ვეშაპაძემ სხვა და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ-სტრატეგიულ მოსაზრებათ საჭიროთა სცნო ტყვეების განთავისუფლება. პამპულების მილიცია წანაალმდეგი იყო ამისი და დავიშლებითო ემუქრებოდა ბელადს. ტყვეები გაანთავისუფლეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მეორე დღეს კორდიანში გამოცხადდენ.

—

სოფ. წაკატური. გლეხის ბიჭ-ბუჭები პამპულათა მუქარის მიუხედავათ, მუდამ ასე მღერიან:

„პამპულები შეიკმაზენ თოფითა და ჯინჯილითა,
უნდათ ჩვენი გლეხ-კაცობა ამოხოცონ შიმშილითა.
ეს რო გლეხებმა გაიგეს გადაბრუხდენ სიცილითა.
კოპწლ ცხენებზე შებარგულან დადიან ასკინკილითა,
ბაღლები დასდევნებიან და კვდებიან სიცილითა.
რალა სიმღერისთვის სცხელათ, კუჭი ეწვით შიმშილითა
დღეს ერთ თავადს დაარბევენ, სხვასთან მივლენ ხვალ დილითა.
პამპულების მილიცია მოკმაზულა ჯინჯილითა
გლეხ-კაცები უყურებენ და კვდებიან სიცილითა.

—

სოფ. კუკუბეთი. რალის სააგენტო.

თუ უკანასკნელ ცნობებს დავუჯერებთ, პამპულათა ბანაკში დიდი ცვლილების მოხდენას აპირებენ. სახელდობრ: მთელი ბრბო უნდა გაიყოს ხუთ რაზმათ. პირველი «ასეული», ასის თავი ტირძნელის მეთაურობით, ფრიალოს ციხეს გაამაგრებს; მეორე სტუდენტ-კაპიტნის დავით კატიშვილის უფროსობით დაიჭერს პოზიციას სოფ. თამარ-ციხის მიდამოებში; მესამე ,,ასეული'' სტუდენტ—როტმისტრის ი—ლო კატიშვილის წინამძღოლობით ზემოქედის მიდამოებში ჩადგება და იქიდან გადაღმეთის მოხალისეთა რაზმთან (ასეთი რაზმი არსდება პამპულათა ბელადის აზრით) იქონიებს დამოკიდებულებას.

დანარჩენი ორი რაზმი რომელ ადგილებში იმოქმედებს, ან ვისი მეთაურობით ჯერ საიდუმლოებას, შეადგენს. მთავარ სარდალს ვეშაპაძეს იმედი აქვს 140,000 თავიანი მხედრობა შეადგინოს და როცა ამას სისრულეში მოიყვანს უთუოთ მოქმედების ასპარეზს გააფართოვებს.

—

სოფ. ციხის-კუდი. ხმებია ვითომც პამპულათა რაზმს სურსათი შემოკლებოდეს. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სამი ასეული პამპულებისა სოფელ ფარეხს დაეცა, მაგრამ უკუმდებელ იქნაო. სამასი მშიერი პამპულას ძასპინძლობა ცხადია ხელს არავის არ მისცემდა და ამიტომაც მშიერი რაზმი უკანვე დაბრუნდა. ხალხმა ,,გლოვის ზარით'' მიილო და გამოაცილა ,,დრუჟინა''.

—

სოფ. კოტორაანთ-კარი. ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება შესახებ პამპულათა რაზმის წინამძღოლის ვეშაპაძისა.

ამ საგანზე გაზეთი ,,კრივი'' სწერს: ,,მილიციის მთავარსარდალი ვეშაპაძე, ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია. პირველ დაწყებითი სწავლა ქ. №-ის გემნაზიაში მიიღო. გემნაზიის გათავების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. მოსკოვიდან იურიევის უნივერსიტეტში გადაიარა და იქ დაასრულა უმაღლესი სწავლა. როგორც მოსკოვში, ისე დორპატში განთქმული ,,მოკრივეს'' სახელი ქონდა მოხვეჭილი.

გაზეთი ,,მუშტი''-ს კორესპონდენტი ამავე საგანზე

წერს: „ბატონი ვეშაპაძე ჩემი ამხანაგი იყო. თუმცა დიდი ხანია აღარ მინახავს, მაგრამ იმისი სახე ეხლაც თვალწინ მიდგას. დღესავით მახსოვს, თუ როგორ ერთი მუშტის დაკვრით წუყეტდა ხოლმე ყოველ გვარ საკამათო კითხვას. აი ვთქვათ სტუდენტების წრეს კრება აქვს, გამოთქვა ვეშაპაძემ თავისი აზრი და თანაც ძლევა მოსილებით გადახედა ყველას. ადამიანი საზოგადოთ თავ-მოყვარეა და ვთქვათ ვინმემ გაბედა საკუთარი აზრის გამოთქმა. გაბრაზებული ვეშაპაძე მძლავრი მოკნევით პირქვე დასცემს მოპირდაპირეს და გამარჯვებული თავის ადგილზე ჯდება. ვეშაპაძე ნამდვილი გერკულესია და გონებრივი სისუსტის მიუხედავათ ჩინებულ ხელმძღვანელობას გაუწევს პამპულების რაზმს".

დასასრულ ყოველ კვირეულ ჟურნალ „გლეჯაში" მოთხრობილია საინტერესო ამბავი ვეშაპაძის ძაღლის შესახებ. ძაღლი, რომელიცა იმ მცველათ ყოლია მას, ახირებული ახოვნებისა და ზნის ქნილება ყოფილა. ისეთი ხელოვნური აღზრდა მიეცა პატრონს ერაგული უარაყოფისათვის, რომ ის არავითარ „მევალეს" ახლო არ აკარებდა ვეშაპაძეს. ხსენებული ძაღლის გულადობა და ოინები იქიდან უნდა გასინჯოთ, რომ პრისთავებიც და ყოველივე პოლიციელები შიშსა ქვეშე ყავდა თურმე".

ანტი-პამპულა.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

1 მარტს გაიხსნა ლუქსენბურგის კომისია მუშათა კორპორაციების 150 წარმომადგენელთა თანადასწრებით. თავმჯდომარე ლუი ბლანმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „გამოკვლევა დაწვრილებით, გულმტკივნეულობით ყველა იმ კითხვების, რომელნიც ეხებიან თქვენი მდგომარეობის მორალურ და ნივთიერ გაუმჯობესებას, გამონახული საშუალებების კანონ-პროექტათ გადაქცევა და შემდეგ დროებითი მთავრობის დადასტურებისა, მათი საერო კრებისთვის წარდგენა აი მიზანი კომისიისა". დელეგატებმა პირველათ სამუშაო დღეს შემოკლება მოითხოვეს, რის გადასაწყვეტათ ლუი ბლანმა პატრონები მოიწვია. ზოგი ამათგანი გამოცხადდენ და უფრო შიშით ერთი საათით შემოკლებაზე დათანხმდენ. ამან ვერ დააკმაყოფილა ვერც მუშები და ვერც პატრონები. ლუქანასკნელნი არ ასრულებდენ კომისიის დეკრეტს და თხოულობდენ «კანონს» (ე. ი. შრომის თავისუფლების) ასრულებას. ლუი ბლანმა მიმართა მათ პროკლამაციით: «პატრონებო, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენი უძლიერესი ინტერესია დღეს დათმოთ შეძლებისდა გვარათ ყველა ის, რაც სამართლიანია; ამ გვარათ შეიძლება დამყარდეს წესიერება და უშიშროება. და თქვენც, მუშებო, ნუ დაივიწყებთ, რომ თუ შეუძლებელს მოითხოვთ, თქვენ თავს დიდს ზარალს მიაყენებთ. გახსოვდეთ, რომ ამით თქვენსავე საქმეს წაართმევთ იმ დიდებულების ხასიათს, რომელიც თქვენმა ზომიერებამ მას მისცა".

17 მარტს მან ასე მიმართა კომისიაში მუშათა დელეგატებს: «ნუ დაივიწყებთ, რომ მე თქვენ გელაპარაკებით არა როგორც წარმომადგენელთ მხოლოთ ერთი წრის გინდ კლასის, არა, პროგრესი ჩემთვის არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ის ყველას სასარგებლოა, ყველას გამოუკლებლივ. ჩემი აზრით პროგრესი არის ყველა ინტერესის ცნობილი და განხორციელებული შეთანხმება (სოლიდარიტე).—იცით რატომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადე განხეთქილების პრინციპს? ეს არა მარტო იმიტომ, რომ ძლიერ ხშირათ ეს ქმნის მუშების უბედურებას, არამედ იმიტომ რომ ის ძლიერ ხშირათ ქმნის პატრონის უბედურებას". სამი პრინციპის სტატიაში მან გაიმეორა თავისი: «შრომის ორგანიზაციის» გზით, რითაც პროლეტარიატი უნდა განთავისუფლებულიყო პატრონის ბატონობისაგან. რა ნაირათ შეიძლება ამის მიხწევა, ორიმაისის სიტყვაში ამაზე ასეთ პასუხს იძლეოდა; „ჩვენ გვსურს თავისუფლება მშვიდობიანობით, გამარჯვება გონების განვითარებით, ზომიერების გამეფება იდეურის საშვალებით, თავისუფლება წესიერებით და სიყვარულით".

აი რანაირ ლექციებს უკითხავდა მშიერ ხალხს პროლეტარიატის წარმომადგენელი ლუი-ბლანი. ამასთანავე ის შეუდგა წვრილმანი რეფორმების შემოღებას: დააარსა მკერავალთა ასოციაცია, რომელსაც მთავრობის „მოძრავი მელიციის" ფორმის ტანისამოსის შეკერვა შეუკვეთა. გამართა სხვა ასეთი კოოპერაციული დაწესებულებები, აკვეთა სატუსაღოში მუშაობა და სხ.

ასე ემზადებოდენ ლუქსენბურგის მუშები მომავალ რეაქციასთან საბრძოლველათ!

პროლეტარიატის მეორე წარმომადგენელი ბლანკი და ბლანკისტები ერთიანათ ეწინააღმდეგებოდენ ლუი ბლანის შეხედულობას. ხოლო ისინი იყვენ გადაჭრილნი მტერნი კლასთა თანამშრომლობის და ლამობდენ დროებით მთავრობიდან ზომიერთა გამოგდებას. მაგრამ რადგანაც ისინი პროლეტარიატს, როგორც კლასს, არ ენდობოდენ, ამიტომ ამ მიზანს თავისთვის საიდუმლოთ ინახავდენ, საჯაროთ არ ჰქადაგებდენ და პარტიას არ ადგენდენ. მათ სურდათ სხვა უფრო წვრილმალ კითხვებით პროლეტარიატის აღელვება, საბჭოს წინააღმდეგ გალაშქრება, იქ უცებ ხალხის სათავეში ჩადგომა და მთავრობაზე იერიშით მისვლა. პროლეტარიატმა წინდაწინ არასოდეს არ იცოდა ბლანკისტთა მოძრაობის ნამდვილი სარჩული. ამას გებულობდენ მხოლოთ ბრძოლის ველზე, უკანასკნელ მომენტში და ამასაც „ჭორათ". გარდა ამისა ბლანკისტები უყურადღებოთ ტოვებდენ მუშა ხალხის ღრიობ გაჭირვებას, ეშვით უცქეროდენ რეფორმებს და ილტოდენ სილარიბის ერთი დაკვრით, უეცარი რევოლიუციით მოსპობისაკენ. აი ამ ორი მიზეზით აიხსნება ის, რომ მათ პროლეტარიატში ფესვები არ ჰქონდათ გამდგარი და საჭირო ძალას ვერ წარმოადგენდენ.

ბლანკისტებზე უფრო მეტი ძალა ჰქონდათ მონტანიარებს. მ თ ყავდათ თავის პრეფექტი, თავისი პოლიცია, მათ ხელში იყო ფოშტა, შინაგანი სამინისტრო (ლედრიუ როლენი), უთვალავი კლუბები და გაზეთები. თითქმის ყველა შეიარაღებულიყო. როლენის და ფლოკონის ძთავრობიდგან გაგდება, როგორც ეს ზომიერთ სურდათ, აუცილებლათ მონტანიართა არეულობას გამოიწვევდა და ამიტომ იმათაც ლუი-ბლანივით „ითმენდენ".

ოპოზიციის ამ სამივე ფრაქციას გაისაკუთრებით აშინებდა ერთი გარემოება—საერო კრება, არავინ იცოდა ის რანაირი იქნებოდა. შეიძლება პროვინციამ ისეთი წარმომადგენელნი აირჩიოს, რომ არა თუ შრომის ორგანიზაცია, არამედ თვით რესპუბლიკაც გააუქმონ და ისევ ლუი-ფილიპე დააბრუნონ. ოპოზიცია ამბობდა: საფრანგეთი არ არის რესპუბლიკანელი, საჭიროა ჯერ მისი გარესპუბლიკანელება, პარიჟის აზრების პროვინციაში გავრცელება, გლეხობის პროლეტარიატთან დაკავშირება და მერე საერო კრების მოწვევა. ამ ნიადაგზე შეერთდენ ლუქსენბურგელები, მონტანიერები, ბლანკისტები და 15 მარტს გამოსცეს შემდეგი პროკლამაცია:

„ჩვენ ვთხოულობთ საერო კრების და საერო მილიციის

*) იხ. „მოგზაური" № 20, მაისი 1905 წ.

ოფიცრების არჩევნების გადადებას. ეს არჩევნები კი არა არჩევნების დაცინვა იქნება. პარიჟში ამ არჩეველთა სიაში მუშათა პაწია რიცხვია შეჯანილი, ასე რომ ყუთები მხოლოთ ბურჟუაზიის კენჭებს მიიღებენ, სხვა ქალაქებში მუშათა კლასი, დიდი ხნის მტარვალობის და სილატაკისაგან დაძაბუნებული, არჩევნში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს და თუ მიიღებს—ეს იქნება პატრონთა წინამწოლობით, როგორც ბრმა ცხოველი. სოფლებში მთელი გავლენა არისტოკრატების ხელშია. საწყალი გლეხები, ყმის მდგომარეობამდის ჩამოქვეითებულნი, გადაიქცევიან მათივე გამყვლეფელთა და მტანჯველთა ამაღლების საფეხურათ.

საჭიროა სინათლემ შეაშუქოს რესპუბლიკის მიყრუებულ კუთხეშიაც, საჭიროა მუშებმა ტანჯვისაგან მოხრილი წელი გაიმართონ, თავი მაღლა აიღონ და საკუთარ ფეხზე დადგენ. თუ არჩევნები ახლა მოხდა, ის იქნება რეაქციონური".

ამ მოწოდებამ აბობოქრა პარიჟის როგორც პროლეტარიატი, ისე ბურჟუაზია. 16 მარტს მილიციის 3 კონსერვატიული ლეგიონის დათხოვის გამო, თავი მოიყარა 30 ათასმა ბურჟუამ და გასწიეს საბჭოსაკენ ყვირილით: „ძირს როლენი, ძირს კომუნისტები"! ამ ამბის გაგებისთანავე საბჭოს უბანში მცხოვრები სტუდენტობა, მუშები და მონტანიარები გამოეშურენ მთავრობის დასაცავათ და სანამ დემონსტრანტები მოახწევდენ საბჭოს კარები და მოედანი იმათ დაიჭირეს. დემონსტრანტებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და შერცხვენილნი დაიფანტენ. იმავე დღეს ოპოზიციამ გადასწყვიტა, მეორე დღეს, ჩვიდმეტს დიდი დემონსტრაცია მოახდინოს და მთავრობას არჩევნები გადაადებიოს. საღამოს, მთავრობა შეიყარა და საერო კრების არჩევნების გადადება, წინააღმდეგ 4 ხმისა (ბლანი, ალბერტი ფლოკონი, როლენი) უარყო.

17, დანიშნულ ალაგას შეიყარა 150 ათასი მუშა, დროშებით და პეტიციით, დამწკრივებულნი წავიდენ საბჭოსაკენ და დაიჭირეს მთელი მისი არე-მარე. აი პროლეტარიატი ბატონი მთავრობის და მით პარიჟის და საფრანგეთის! ბლანკისტები დაფაცურდენ, და შეუდგენ ამ საუკეთესო შემთხვევით სარგებლობას მთავრობის „გასაწმენდათ". ხალხმა შეგზავნა მთავრობასთან 30 კაცისაგან შემდგართ დელეგაცია, სადაც სამივე ფრაქცია იყო წარმოდგენილი, მათ-შორის ბლანკი, ბარბესი, სობრიე და სხვა. ერთმა ამათგანმა წაიკითხა პეტიცია, რომლითაც თხოულობდენ ჯარის პარიჟიდგან შორს დაბანაკებას და არჩევნების გადადებას. შემდეგ ილაპარაკა ბლანკიმ ისეთი ბრძანებითი კილოთი, რომ მთავრობის თვითეულ წევრს შიში დაუარა, მან მოითხოვა პეტიციის ასრულება და სოციალური რესპუბლიკის დაარსება. როლენი და ბლანი ამ პროლეტარიატის მრისხანე ტრიბუნით შეშინებულნი უკან დაიხიენ და მთავრობის დაცვას თვითონ შეუდგენ. ორივემ პეტიციის წინააღმდეგ ილაპარაკა ე. ი. ილაპარაკეს წინააღმდეგ, იმისა, რასაც წინა დღეს მთავრობის სხდომაზე და გარეთ იცავდენ. მარა რადგანაც პეტიციის შესრულება მხოლოთ ძალით შეიძლებოდა, ძალას კი ბლოკის მოშლა და ბლანკისტების გაბატონება მოყვებოდა—ამიტომ მთავრობის დამცველ ფარ-ხმალი თვითონ აიღეს. მათმა უარმა ჯერ გაანცვიფრა, მერე შეარყია დელეგაცია. ლუქსენბურგელები და მონტანიარები მიემხრენ თავიანთ შეფებს, ბლანკისტები დარჩენ შეურყეველნი; ახლა თვითონ დელეგაციაში მოხდა შეღაპარაკება. მაშინ წამოდგა მჭევრმეტყველი ლამარტინი და თავისი „ლამაზი სიტყვებით" გაიტაცა დელეგაციის უმრავლესობა; „გაუმარჯოს დროებითი მთავრობასო"—გაეხმაურა დელეგაცია და დაბრუნდა უკან ხალხისაკენ. გამოსვლის დროს ბლანკისტი ფლოკი ლუი-ბლანს მიუბრუნდა და ხმა მაღლა შესძახა: „შენც, შენც მოღალატე ხარ!" ხალხიც დელეგაციასავით გაიყო და ლუი-ბლანს დიდი ოვაცია გაუმართა. ასე დასრულდა ეს დღე.

ამ სახით, დროებითი მთავრობამ ბლანკს და როლენის საშვალებით გაიმარჯვა ოპოზიციაზე. „ბლოკი" კიდე ერთხელ ამარცხებს პროლეტარიატს.

17 მარტის დემონსტრაციამ დიდათ ჩააფიქრა მთავრობის უმრავლესობა და უმცირესობა. პირველმა აშკარათ დაინახა თუ რა დიდი გავლენა აქვს მეორეს პარიჟის მუშებზე და რა სახიფათოა ეს მათთვის: უმცირესობამ დაინახა მასზე უფრო მოწინავე ტრიბუნი მხათ, ადრე თუ გვიან რევოლიუცია მოახდინოს და პროლეტარიატის მეთაურობა იტვირთოს. როლენი და ბლანი გადაემტერენ ბლანკს და მის პარტიას. ყველა შეუდგა თავთავისი პოზიციის გამაგრებას. მარიმ დაიბარა „საერო სახელოსნოს" დირექტორი ემილ ტომასი და გამოუცხადა: ფულს ნუ დაზოგავ, მუშები კარგათ დაიმორჩილე. შეიძლება შორს არ არის ის დღე, როცა დაგჭირდება მათი ქუჩაზე გამოყვანა". ტომასმა გამართა სახელოსნოთა კლუბი, სადაც მუშების ბრიგადიერები მოდიოდენ, ამისათვის «ჯილდოსაც" აძლევდენ (ქრთამს) და თან ბურჟუაზიულ „რეჩებით" უმასპინძლდებოდენ. ეს იყო ტომარას სიტყვით, „ტრაპეზი ამართული ლუქსენბურგის წინააღმდეგ". მან შემოიღო სახელოსნოში მილიტარიული დისციპლინა; მუშები გაყო როტებათ და დაუმორჩილა შეფებს. არც ერთ მის მუშას, ტომასის მოწმობით, 17-ს დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია. ისინი ამ დღეს პარიჟს გარეთ გაგზავნეს რაღაც საქმისათვის. პარიჟის მერმა მარასტმა მიიღო ზომები საბჭოს გასამაგრებლათ. ის ხშირათ იწვევდა მილიციის ოფიცრებს და თან და თან, ფრთხილათ, აჩვევდა იმ აზრს, რომ საჭიროა მხათ ყოფნა, თვარა „საზოგადოება და საკუთრება განსაცდელშიაო". მან საბჭოში დააბინავა «მოძრავი მილიციის» ორი ბათალიონი, ესენი ისეთაც გაჯავრებულნი იყვენ მუშებზე, რომელთა კოოპერატიულმა საზოგადოებამ ფორმის დამზადება დაუგვიანა და ჩამოლღეტილი დადიოდენ. მარასტის აგენტები არწმუნებდენ ამ ბოსიაკებს—ეგ სოციალიზმის ბრალია, მუშებმა თუ გაიმარჯვა ყველას დაგვატრტლებენო!

როლენიც შეუდგა თავისი მონტანიარების გაძლიერებას. მისი წინადადებით პოლიციას მიუმატეს 1500 ქვეითი და 300 ცხენოსანი დარაჯი, სულ მონტანიერები კოსილიერის მოყვარე ერსიეს წინამძღოლობით. ამას გარდა დააწესეს „პარიჟის მცველნი"—ე. ი. ქუჩების და შენობების განსაკუთრებითი დარაჯნი. ლამარტინმაც კი გამართა კლუბების მეთაურებთან მოლაპარაკება და კავშირის დაჭერა. მან ბლანკიც კი ინახულა, რის შესახებ შემდეგ თქვა: «ჩემი მასთან შეხვედრა—მეხის ასაცილებელის მეხთან შეხვედრააო».

ამ საყოველთაო მზადებაში არ ეძინათ არც ბლანკისტებს. მათ გამართეს დიდი აგიტაცია კლუბებში, მოიმხრეს მონტანიართა ბევრი შეფები, ამათ შორის თვით კოსილიერი და გადასწყვიტეს—აუცილებლათ საჭიროა მთავრობის, ამ „ავგეას საყრინიბოს", გაწმენდა. ამ აზრს ხელი შეუწყო აგრეთვე პროვინციის ამბებმა, აქ ყოველგან თავი წამოყო რეაქციონერებმა და მოსალოდნელი იყო არჩევნებზე ზომიერთა გამარჯვება. აპრილის პირველ რიცხვებში ბლანკის მომხრე კლუბებმა შეადგინეს „რადიკალ-დემოკრატულ კლუბთა კომიტეტი" და გამოსცეს ბლანკის შედგენილი პროკლიმაცია:

„რესპუბლიკას, ისე როგორც მონარქიას, შეუძლია თავის დროშის ქვეშ ყმური განწყობილება მოათავსოს. სპარტა, რომი, ვენეცია იყო გათახსირებული ოლიგარხია. სიტყვები: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა შეიძლება გადაიქცეს

ისეთივე სიცრუეთ, როგორც იყო ხარტიას დადგენილება: ყველა ფრანგი კანონის წინაშე თანასწორია. თავისუფლება არ არის იმათთვის, ვისაც საჭმელი აკლია: არ არის თანასწორობა, როცა ფუფუნება სილატაკის გვერდით მყარდება; არ არის ძმობა, როცა დამშეული დედაკაცი თავისი შვილებით შეძლებულთ კარდაკარ მათხოვრობას; არ გვინდა ცარიელი სიტყვები, არ კმარა სიტყვების გამოცვლა, საჭიროა თვით საქმის ძირიანათ შეცვლა".

საერო მილიციის აფიცრების არჩევანი განგებ დანიშნეს საქმის დღეს, 5 აპრილს. მრავალი მუშა ვერ გამოცხადდა და ბურჟუაზიამ თავისი კანდიდატები გაიყვანა, საერო მილიცია (200 ათასამდე) ხელში ჩაიგდო პროლეტარიატის მტერებმა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო ააღელვა მუშები. ახლა ლუი-ბლანიც მომხრე იყო ერთი დიდი დემონსტრაციის თავის შერყეულ მდგომარეობის გასამაგრებლათ.

და აი ხელ-ახლა შეერთდა ოპოზიციის სამივე ფრაქცია ხელ-ახალი დემონსტრაციით 17 მარტის ჯავრის ამოსაყრელათ. დემონსტრაციის დღეთ დაინიშნა 16 აპრილი. კლუბები შეუდგენ ენერგიულ მუშაობას, კლუბთა კლუბმა გამოაცხადა შეუწყვეტელი სხდომა. პრეფექტურა იარაღს ისხამს, ლუქსენბურგის დელეგატები მუშებს ამზადებენ—ყოველგან დიდი აღელვებაა. ბლანკისტებმა შეადგინეს მომავალი მთავრობის სია: ლუი-ბლანი, როლენი, ალბერტი, ფლოკონი, ბლანკი, კამე და სხვ.

ამათ პროგრამაც შეიმუშავეს: ერთი მილიარდი გადასახადი მდიდრებს, ემიგრანტებისაგან უკან დაბრუნება მიცემული მილიარდის, ლუი-ფილიპის ქონების ჩამორთმევა, სახელმწიფო ვალების უარის ყოფა, ყველა მოხელეების დაცვლა, მთელი მართვა გამგეობის გადასხვაფერება, ფაბრიკა-ზავოდების შეყიდვა და მუშათა ასოციაციებისათვის გადაცემა, საერო კრების არჩევნების გადადება და სხ. და სხ. 16-ს ეს სია და პროგრამა ბლანკის მეგობარმა ფლოკომ მოუტანა როლენს გასაცნობათ; როლენმა როგორც კი სია წაიკითხა შეყვირა: ბლანკიც? მასთან ერთად არასოდეს! „კარგი მიუგო ფლოკომ, თუ ჩვენთან არ იქნებით, სხვებთან ერთად თქვენც ფანჯრიდან იქნებით გადასროლილი". ნაშუადამევს კოსილიერმა გაგზავნა როლენთან თავისი კაცი რობრიე: ყველაფერი მზათაა, საჭიროა შეფი, მიიღე არეულობის შეფობაო. მარა მას ბლანკის აჩრდილი არასვენებდა და გადაჭრილი პასუხი ვერ მისცა. მის ხელში იყო პოლიცია და საერო მილიციის მოწვევის უფლება, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ქონდა. მეორე მხრით, მთავრობის უმრავლესობა, დარჩენილი უპოლიციოთ, უმილიციოთ, აღელვებული პროლეტარიატის ამარათ მიტოვებული, იმყოფ მოკვეთილი იყო. თავისი გადაგდება მას საეჭვოთ აღარ მიაჩნდა. ლამარტინმა თავის კერძო საქმე მიაწყ-მოაწყო, ცოლშვილი მეგობრებს ჩააბარა, ანდერძი დასწერა და სასიკვდილოთ გაემზადა. მარტო მარი და მარატი ფოჩიხობდენ, საბჭოს ამაგრებდენ. „საერო სახელოსნოს" მუშებს იმ დღეს სახელოსნოდგან არ უშვებდენ, სტუდენტობა მოიმხრეს, მაგრამ ეს იყო წყალწაღებულის ხავსზე ხელის მოკიდება.

გათენდა 16 აპრილი, კვირა. დილიდანვე ქუჩები გაცოცხლდა, ხალხით გაივსო, მუშები დაიძრენ მარსის მოედნისაკენ, საიდანაც ორ საათზე საბჭოსაკენ უნდა წასულიყვენ. 11 საათზე მოედანი აივსო ხალხის მრავალი ბაირაღებით და ზედ წარწერით: შრომის ორგანიზაცია, გაუქმება ადამიანის ადამიანისაგან გაყვლეფის და სხ. ყველაზე მეტია ლიუქსემბურგის მუშები, ძრიელ ცოტაა „საერო სახელოსნოდან". ბლანკისტები ხალხს აღელვებენ მთავრობის წინააღმდეგ „ძირს მთავრობა", ის ბურჟუაზიის მონაა—გაისმის ხალხში. კოსილერი კაცს უგზავნის როლენს, ნუ ყოყმანობ, წადი მარსის მოედანზე და იტვირთე ხელმძღვანელობა. როლენი ბაიც ყოყმანშია, ჩადგეს მოძრაობის სათავეში, ეს ბლანკისტების მოშრეობაა, უარყოს მოძრაობა,—ეს ბურჟუაზიის მოშრეობაა. პირველია რესპუბლიკა სოციალისტური, მეორე ზომიერი, თვითონ კი რადიკალურის მებაირაღტრეა. ამ ფიქრებით გატაცებული ის დგება და მიდის... მიდის გაჩქარებული, გავლის რამდენიმე ქუჩას, ადის ერთი დიდი შენობის კიბეზე და უცებ შედის ლამარტინის კაბინეტში ამ სიტყვებით, „დავიღუპეთ, ასი ათასი კაცი მოდის საბჭოს წასაბერათ, ლუქსემბურგის კორპორაციები მეთაურობენ, ბლანკი მარსის მოედანზე მათ აღელვებს და ხელმძღვანელობს, აჯანყებულნი ჩემი სახელით მოქმედობენ, მე უარს ვყოფ მათ; აი მოვედით თქვენთან ერთად მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ; მირჩევნია თქვენთან სიკვდილი ვინემ მათი საზარელი ტირანიის ატანა". ლამარტინი გაკვირებული, გახარებული გადაეხვევა როლენს, შენ იხსენი საზოგადოებაო. მან მაშინვე აფრინა შიკრიკები მთავრობის დანარჩენ წევრებთან ამ ამბის სახარებლათ,, ხოლო როლენს, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს ურჩია თავისი უფლების მოხმარა და საერო მილიციის გამოწვევა, საბჭოს არე-მარეს ორ საათამდის შეკვრა და მანიფესტანტების მთავრობამდის არ მიშვება. თორმეტი საათის ნახევარზე პარიჟის ყველა უბანში დაკრეს ბარაბანი, ეს მილიციის მოსაწვევი სიგნალი. ამ ხმაზე შეიძრა მთელი ქალაქი. მხედრები, ღენერლები, აფიცრები, სტუდენტები, მილიციონერები ყველა მთავრობის დასახმარებლათ გამოეჩქარენ კომუნისტების წინააღმდეგ. ლუი-ბლანი ბარაბანის ხმით გაკვირვებული საბჭოში როლენს ეკითხება: რა ამბავია ეს ვინ გამოიწვია მილიცია? „ბლანკს სურს მანიფესტაცია თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, მე არ მსურს რესპუბლიკა და საფრანგეთი ბლანკს ხელში ჩაუგდო"—მიუგო როლენმა. პირველათ გამოჩნდა მილიციის მეცხრე ლეგიონი, შემდეგ პოლიტეხნიკუმის, სენ-აირის, უნივერსიტეტის და სხ. სასწავლებლების სტუდენტობა, მათ მოყვა მოძრავი მილიციის ოთხი ბათალიონი და ბოლოს მილიციის მრავალი ლეგიონები, ღენერალ კურტეს წინამძღოლობით, რომელთა შორის იყო მე-12 ლეგიონი ბარბესის მეთაურობით! ბარბესის დანახვაზე ლამარტინმა შესძახა; „რა მშვენიერებაა, აი უომოთ გამარჯვება"! რადიკალი და ერთხელ ბლანკის ამხანაგი ბარბესიც მიემხრო მთავრობას!

და როცა პროლეტარიატის მოწინააღმდეგენი ასე ერთდებოდენ და ერთსულობით მოქმედებდენ, აი რა ხდებოდა მარსის მოედანზე: როლენის ღალატმა მოშალა კლუბები, მანტანიარები გაიყვენ, კოსიდიერი და მისი ხალხი ქუჩაზე არ გამოსულა; ლუქსემბურგის მუშები, რომელთა უმრავლესობამ არც კი იცოდა ბლანკისტების შეთქმულება კვირობდენ, მთავრობა რატომ გვებრძვის, რაცა ჩვენ სწორეთ მის გასამხნევებელათ გამოვედითო. ესენიც ნაწილდებიან. მოწინავენი ორჩებიან, სხვები კი იფანტებიან; „საერო სახელოსნო"-ს მუშათა დიდი უმრავლესობა წავა ქირის მისაღებათ, რაც განგებ ორ საათზე დანიშნეს. ბლანკის კლუბი და მისი მოკავშირენი რჩებიან თავის ალაგას და საბჭოსკენ წასასვლელათ ხალხს ამზადებენ. ასე რომ ასი ათასი კაციდან ორ საათზე ძლივს 40 ათასი კაცი რჩება, რომელსაც მილიციამ გზა გადუღობა და საბჭომდის ვერც კი მიატანა. მთავრობა ისე გაკადნიერდა, რომ მუშების დელეგაციაც არ მიიღო, მიუხედავათ ლუი-ბლანის თხოვნისა. მუშების დანახვაზე მილიცია ყვიროდა: ძირს კომუნისტები, ძირს ბლანკი, ძირს კაბე!

ოპოზიცია ერთიანათ დამარცხდა, მთავრობაჲ გაიმარჯვა. ლუი ბლანს და ალბერტს ურჩიეს მთავრობიდგან გამოსვლა და მით არეულობის გამოწვევა, მარა უარი თქვეს. მეორე მხრით, უმრავლესობას ურჩიეს—ოპოზიციის მთავრობიდგან გამოგდება, რაზედაც მანაც უარი თქვა. კლასთა თანამშრომლობის მთავრობა ერთათ დარჩა და მით კლასთა ბატონობის მთავრობა გამაგრდა.

საღამოს რეაქციონერებმა გამარჯვების ნიშნათ თავისი უბნები გააჩირაღდნეს. ბურჟუაზია მილიციის ტანისამოსში ქუჩაზე დარბოდა და ყვიროდა: სიკვდილი კომუნისტებს! ბლუზიან ხალხს ქუჩაზე აღარ აყენებდენ, ბევრ მათგანს იჭერდენ და პოლიციაში აგზავნიდენ, სადაც მონტარიანები ათავისუფლებდენ. კაბეს სახლი პოლიციამ გადაარჩინა მათ აკლებისაგან. ბლანკის კლუბი მილეწ-მოლეწეს, დაიჭირეს ფლოკი და სხ. ერთი სიტყვით ბურჟუაზია განრისხდა, გამძვინვარდა და დაიწყო აშკარა რეაქცია.

მეორე დღეს ბურჟუაზიის ასეთი რეაქცია აღარც მთავრობას მოეწონა და არც წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს. ესენი ებრძვიან ორივე უკიდურეს პარტიებს—რეაქციონერთ და სოციალისტებს და ლამობენ „ჰეშმარიტი“ რესპუბლიკის დაარსებას. კოსიდიერმა მთავრობას ბლანკის დაჭერის ბრძანება გამოსთხოვა (წინააღმდეგ ლამარტინის და ალბერტისა), მარა სისრულეში ვერ მოიყვანა.

19-ს მთავრობამ მუშების მოსამზრობათ პური, ხორცი და სხვა სურსათი გააიაფა საქალაქო ბაჟების გაუქმებით. სამაგიეროთ დააწერა ზედ-მეტი გადასახადი მდიდრულ ეტლებზე, სახლების პატრონებზე და სხვა, რამაც აღტაცებაში მოიყვანა ლუი-ბლანი და როლენი. მილიციის რეაქციონურ ლეგიონებს მთავრობამ იარაღი ჩამოართვა. კლუბების არსებობა დააკანონა და ბევრი რეაქციონური მოხელენი დაითხოვა—ერთი სიტყვით შეეცადა რეაქციის შეჩერებას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამკვიდრებას. ეს გვიან შეიქნა; რეაქციამ წამოყო თავი და მისი დამარცხება მხოლოთ პროლეტარიატს შეეძლო, მარა პროლეტარიატის რეაქციაზე გამარჯვება—იქნებოდა გამარჯვება საზოგადოთ ბურჟუაზიაზე. პროლეტარიატისათვის რესპუბლიკა ნიშნავდა „შრომის ორგანიზაციას“, კაპიტალის ბატონობის გაუქმებას; ყველა ეს წვრილ ბურჟუაზიას დენდა სხვილი ბურჟუაზიის კალთებში და პროლეტარიატს სამუდამოთ აშორებდა. საზოგადოება იყოფოდა არა „ხალხი“ და «ბურჟუაზია», არამედ პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ხალხი, ივლისის მონარქიის დროს ერთ კლასათ წარმოდგენილი, ახლა დანაწილდა და თავისი ნამდვილი ვინაობა გვიჩვენა. მისი ერთი ნაწილი—წვრილი ბურჟუაზია—პროლეტარიატს და სხვილ ბურჟუაზიის შორის მომწყვდეული აქეთ-იქით ეხეთქება. ხან ერთს უერთდება, ხან მეორეს; ხან ერთის ჭმინია, ხან მეორის და ბოლოს სამუდამოთ რეაქციონერთა წინ იჩოქებს. ესენი ემზადებიან საერო კრების საშვალებით „თავხედი“ პროლეტარის ქედის მოსახრელათ და მისი შრომის წინანდელ მდგომარეობაში ჩასაბრუნებლათ. მარა რადგანაც რესპუბლიკის ერთგული დარაჯი პროლეტარიატია, ცხადია მის დამარცხებას რესპუბლიკის დამარცხება უნდა მოყოლოდა. პროლეტარიატის რესპუბლიკიდგან გაგდება ნიშნავს რესპუბლიკის საფრანგეთიდან გაგდებას.

და ია ამის ასრულებას შეუდგა რეაქცია.

ან.

(შემდეგი იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

II.

(შემდეგი *).

მხოლოთ მანამდის შეიძლებოდა ქალი არ ყოფილიყო გამორიცხული საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, არც თვით ქალის, არც საზოგადოების საზარალოთ, სანამ განუვითარებელი სოციალური პირობები ვიწრო ჩარჩოებში იყო მოქცეული, სანამ ადამიანთა ცხოვრება ვიწრო ინტერესების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

არა თუ ქალის, არამედ კაცის ინტერესებიც მეტათ ვიწრო ფარგლებში იყო მაშინ მოქცეული, მაგრამ აჲ ფარგლებში ქალის როლი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც კაცის. ზოგიერთ კითხვების გადაწყვეტაში, რომელნიც შეეხებოდენ ოჯახის არსებობას, ხან და ხან თემსაც, ქალი ხმის უფლებითაც კი სარგებლობდა.

პაწაწკინა ოჯახისა და ადგილობრივი ბაზრის პირობებს, „თვისი მრევლის“ პოლიტიკას ეთანხმებოდა.

წარმოების პირობების ვითარებასთან ერთათ ვითარდებოდა და იცვლებოდა საზოგადოების ოჯახური დამოკიდებულებაც, რომელიც, ნაცვლათ ადგილობრივ, ვიწროთ შემოფარგლულ დამოკიდებულებისა, გაფართოვდა და მიიღო ეროვნული და საერთაშორისო ხასიათი.

საზოგადოებრივი ცხოვრებაც სწორეთ ამ ნაირსავე ევოლიუციას განიცდიდა. ნაციონალიზმმა პარტიკულიარიზმის ადგილი დაიკავა, რომ თავის მხრივ პირველობა კოსმოპოლიტიზმისთვის დაეთმო.

იმ დღიდან, რაც საქონლის წარმოება ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ კი არა, არამედ მსოფლიო ბაზრისთვის დაიწყეს, ხელხი დაინტერესდა ყველა იმ საზოგადოებრივი პირობებით და დამოკიდებულებით, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე რაიმე გავლენა აქვთ. კაცმა მოიწადინა, რომ ეს პირობები, შეძლების და გვარათ, შეეთანხმებია თავის ინტერესებისთვის და კიდეც მიაღწია მიზანს, რამდენათაც ეს შესაძლებელია დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სადაც კლასობრივი უთანხმოება და კონკურენცია უმაღლეს წერტილამდის არის მისული.

ბურჟუაზიამ, რევოლიუციის შემწეობით და პოლიტიკური ბატონობის ხელში ჩაგდებით, საწარმოო და საბაზრო პირობები თავის სასარგებლოთ მოაწყო.

მართალია პროლეტარიატი პოლიტიკურათ, თავისუფალ კლასათ არის გამოცხადებული, მაგრამ ეკონომიური დამოკიდებულება ხელს უშლის მას საზოგადოებრივი პირობები თავის ინტერესებს შეუთანხმოს. ასეა თუ ისე, პროლეტარიატი, როგორც პოლიტიკურათ თავისუფალი კლასი, წინააღმდეგ ბურჟუაზიის ინტერესებისა და სურვილისა, დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებს. ბურჟუაზია ცკმაყოფილოთ უცქერის მუშების გონივრულ მოქმედებას, გული ტკივა და შფოთავს, როდესაც ხედავს რომ მუშა ძალიან გონივრულათ ეხება იმ პოლიტიკას, რომელსაც კარგი ან ცუდი გავლენა აქვს მის ცხოვრებაზე, როდესაც ის თხოულობს, რომ მუშის სიტყვაც იყოს მხედველობაში მიღებული იქ, სადაც მისი ბედ-იღბალი წყდება.

ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიამ შესაფერი ღონისძიება იხმარა, რომ ჰეშმარიტი და მედგარი სიტყვა პროლე-

*) იხილე № 20 მოგზ.

ტარიატისა არ გვგონილიყო. ყველა, ეგრეთ წოდებული, გამანათლებელი დაწესებულებანი ჩინებულ იარაღათ გამოდგენ კლასობრივ სახელმწიფოს ხელში პროლეტარიატის თვალების ასახვევათ. რაც შეეხება პროლეტარიატის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს ხომ სრულებით არ შეესაბამება იმ დიდ როლს, რომელსაც ის ეკონომიურ ცხოვრებაში ასრულებს; ეს მონაწილეობა გამოიხატება შემდეგ მოვალეობაში: „მუშავ, მოვალე ხარ იხადო ყოველგვარი გადასახადები, ხოლო ხმის ამოღების უფლება კი არა გაქვს“...

ასეა თუ ისე, პრინციპიალურათ მამაკაცის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილია.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური პირობები, რამოდენიმეთ მაინც, ეკონომიური პირობების გავლენით განვითარდენ.

!ულ სხვა ნაირათ არის დედა-კაცის საქმე. ქალის ეკონომიური მნიშვნელობა გასაოცრათ ეწინააღმდეგება მის საზოგადოებრივ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი მის პოლიტიკურ უფლებებს. ის მოკლებულია იმ უმნიშვნელო უფლებებსაც-კი, რომლითაც სარგებლობენ მუშა-კაცები.

პოლიტიკური და იურიდიული მხრით, თანამედროვე საზოგადოებაში ქალები მეხუთე კლასს წარმოადგენენ.

მართალია ქალის ეკონომიური მოქმედება ახალ წარმოების პირობებს შეუთანხმდა და თან და თან გაფართოვდა, მაგრამ მისი სოციალური უფლებები იმავე მდგომარეობაში დარჩენ, როგორც წინეთ, საოჯახო და წვრილ მრეწველობის დროს იყო.

იმ დღიდან, რაც სხვილმა წარმოებამ წვრილი მრეწველობა გააძევა, ქალისთვის შეუძლებელი გახდა, საკუთარი საშუალებით, ყოველივე საჭირო ნივთის დამზადება; მაშინ მისი ინტერესები ოჯახს მოშორდა და საზოგადოებაში გადავიდა.

რადგანაც ახალი წარმოების გავლენით კაცის მოქმედება გასხვავდება, ქალის შინაური და გარეშე დამოკიდებულებაც შეიცვალა.

ოჯახი და მისი ცხოვრების პირობები უკვე აღარ იყო დამოკიდებული ოჯახის უფროსის ნებაზე. ოჯახის ცხოვრება შეიქნა დამოკიდებული როგორც ბაზრის პირობებისგან, ისე !თელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისგან.

ხელ-ფასის მომატება, სამუშაო დღის სიგრძე, შრომის ფორმა, დასვენების დროს რაოდენობა, უქმე დღეების განსაზღვრა, ერთის სიტყვით ყველა პირობები, რომელთაც რაიმე გავლენა აქვთ ოჯახის ცხოვრებაზე, უკვე დამოკიდებული იყო კაპიტალისტის ნებაზე, წარმოების პირობებზე, სავაჭრო ბაზარზე და არა ოჯახის უფროსის, ქმრის სურვილზე.

ფასი იმ საგნებისა, რომელნიც ოჯახის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდენ, შეიქნა დამოკიდებული მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებისგან. კონკურენციამ საახალშენო და სატამოშნო ომები გამოიწვია, რამაც თან და თან გააძვირა ის საგნები, რომელნიც სახლისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენდენ. ახალი გაუმჯობესობანი მრეწველობაში აგდებდა გარეთ, ქუჩაში დღეს მამას, ხვალ ქმარს. გარეშე ომები პოლიტიკური, სამრეწველო ანუ სავაჭრო ბატონობის მოსაპოვებლათ. შინაური ომები სახელმწიფოს წესწყობილების შესაცვლელათ ულმობელათ იტაცებს ოჯახიდან მამას, შვილს, ძმას, სიცოცხლეს უსპობენ ოჯახის მრჩენელს, ან და აბრუნებენ უკან დასახჩირებულთ, სრულებით უვარგისთ ცხოვრებისთვის. შრომით აღებული ფულის ნაწილი იხარჯება პირდაპირ და არა პირდაპირ ოჯახის დებზე. ყველა ეს ძირს უთხრის, ანგრევს ოჯახს, აცალკევებს მის წევრებს და აგდებს მათ საშინელ სიღარიბეში.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

ჩემი კორესპონდენცია, „მოგზაურის“-ს მე-17 ნომერში მოთავსებული და გაზ. „ფხილისის ფურცელში“ გადაბეჭდილი, წაუკითხავს თ-ად ჩოლოყაშვილს, რის გამო მას „თბილისის ფურცლის“ მე-97 ნომერში დაუბეჭდია წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ვითომც 27 აპრილს სოფელ ქვემო-მაჩხაანში ჭიზიყის წარმომადგენელთა კრება მომხდარიყოს მისი, ე. ი. თ-ად ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით და მომრიგებელ შუამავლის თანადასწრებით. თავადი გაზეთებსა თხოვს მისი წერილის გადაბეჭდვას, რათა ამით დაანახოს საზოგადოებას, თუ როგორი ნდობით ეგებება მას ჭიზიყის ხალხი. ამაზე აი რა უნდა მოვახსენო თ-ად ჩოლოყაშვილს:

1) 27 აპრილს, როდესაც ხალხი შეიკრიბა სოფ. ქვემო-მაჩხაანის კანცელარიაში, ამდროს თ-დ ჩოლოყაშვილმა წააკითხა ერთს დამსწრეს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი თფილისში 3 აპრილს მომხდარ თავად-აზნაურთა კრების მნიშვნელობის შესახებ. ამაზე ხალხის ამორჩეულმა პირებმა განუცხადეს: ჩვენ თავად-აზნაურების კრება არ შეგვეხება და მაშასადამე მაგის კითხვა მეტიაო! 2) როდესაც კრება უნდა დაწყებულიყო, წარმომადგენლებში აღიძრა კითხვა: შეიძლება თუ არა კრებას დაესწრონ მომრიგებელ-შუამავალი და თ-დი ჩოლოყაშვილიო? ამაზე სამმა მამასახლისმა დაიძახა შეიძლებაო. მიუხედავათ იმისა, რომ ეს მამასახლისებიც სოფლებს წარმოეგზავნათ ამორჩეულ პირებათ, ხალხმა მაინც ერთ ხმათ უარ ჰყო კრებაში დასწრება როგორც მომრიგებელ შუამავლის და თ-დ ჩოლოყაშვილისა, ისე ამ მამასახლისებისაც, რომლებიც მომრიგებელ შუამავლის და ჩოლოყაშვილის დასწრების მომხრეები იყვენ, და ყველა კანცელარიიდან დაითხოვეს.

საკვირველი აქ ერთი გარემოებაა: ნუ თუ კიდევ ვერ მიხვდით, თავადო, რომ დღეს არაფრის დაფარვა აღარ შეიძლება? რა საჭირო იყო რომ გაზეთების საშუალებითა ცდილობთ დაამტკიცოთ, ვითომც ჭიზიყის ხალხი დიდის ნდობითა და პატივით გეგებებათ, იმ დროს, როდესაც თვით ხალხის გული უკეთესი დამამტკიცებელია, ვინემ გაზეთის ფურცლები!

დროებით ჭიზიყელი.

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ალაგი თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს.

„ცნობის ფურცლის“ № 2828-ში ამოვიკითხე წერილი თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის ჭართველ მასწავლებლებისა „მოგზაურის“ რედაქციის მიმართ. რადგანაც მე, როგორც ეს უკვე ამხანაგების კრებას თავიდანვე მოვახსენე—წინააღმდეგი ვიყავ ამგვარი დადგენილებისა, ამისთვის საჭიროთ ვაცხადებ, რომ დასახელებულ წერილის შედგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

დავშთები პატივის ცემით სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი **ნიკო ახმეტელაშვილი.**

29 მაისი სოფ. ანაგა, სიღნაღის მაზრა.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Іюня 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.